საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 12 ივნისი. 2023 წ. №67 (9599) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტრუსის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მეცნიერება – გზად მომავლისკენ!

გთავაზობთ აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოსვლას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებაზე 2023 წლის 7 ივნისს.

როინ მეტრეველი: ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ეროვნული აკადემიის ღირსების დაცვა!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დღიდან დაფუძნებისა ქართველი საზოგადოების, მისი სამეცნიერო სფეროს სამსახურში იყო. აკადემიის ოთხმოცწლოვანი ისტორია არის ნიშანი ქართული მეცნიერების გეგმაზომიერი ზრდისა და განვითარებისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებამ (1918 წ.), მასში მეცნიერების აღმავალმა განვითარებამ, მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის (1935 წ.) შექმნამ, რეალურად განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

1941 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების შესახებ.

მსოფლიომ საყოველთაოდ აღიარა მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის სკოლები; საყოველთაოდაა ცნობილი ქიმიის, ბიოლოგიის, მედიცინის, აგრარული, დედამიწის შემსწავლელი და ტექნიკურ მეცნიერებაში მიღწეული წარმატებები. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მეცნიერება ოთხმოცი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად წავიდა წინ. საკმაოდ განვითარდა ქართველოლოგიური დარგები.

გასული ოთხმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში რამდენადმე იცვლებოდა აკადემიის მდგომარეობა. ამ საუკუნის ათიან წლებში ჩატარებულმა რეფორმამ არსებითად შეცვალა ბოლო პერიოდის ვითარება.

მეცნიერებათა აკადემიის დღევანდელი მდგომარეობა არსებითად განსხვავდება წინა პერიოდებისგან. შეიცვალა სტრუქტურა. მოგეხსენებათ, განსხვავება ძველსა და ახალს შორის ისაა, რომ ადრე აკადემიის შემადგენლობაში არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ყველა სამეცნიერო დაწესებულება და უჯრედი გასულია აკადემიის სფეროდან. ცხადია ამან აკადემიის საქმიანობაში თავისებური ცვლილება გამოიწვია. დღეს საკითხი დგას ასე: მეცნიერებათა აკადემიამ შემოქმედებითად იხელმძღვანელოს კანონით **„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“** და დაეყრდნოს ამ კანონში მოცემულ პრინციპებს. საქმე ისაა, რომ კანონი გვაძლევს ჩვენი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ბერკეტს – ქვეყნის ყველა ტიპის სამეცნიერო დაწესებულება (ინსტიტუტი, ცენტრი) სამეცნიერო თვალსაზრისით ანგარიშვალდებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე. ეს ფაქტი კანონის საგანგებო მუხლითაა გარანტირებული.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე აკადემიის დაქვემდებარებაშია ორი სტრუქტურული ერთეული – „ქართული ენციკლოპედია“ (თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი სტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვან სამეცნიერო-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა) და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი და „ქართული ენის თესაურუსის შემდგენელი კომიტეტი“ (მის მიერ შესრულებული სამუშაო ისტორიული მნიშვნელობისაა).

იხ. 6-7 გვ.

წინ სამეცნიერო დიდგორია!

რადგანაც აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოსვლის ტექსტი 2023 წლის 7 ივნისს, ეროვნული აკადემიის საერთო კრებაზე არა მხოლოდ გაწონასწორებული, არამედ ზომაზე მეტად კრიტიკული და თვითკრიტიკულიც იყო, მკითხველს სიამოვნებით ვთავაზობთ არა ოდენ ამონარიდებს ამ ტექსტიდან (როგორც გაზეთის წინა ნომერში შეგეპირდით), არამედ სრულ გამოსვლას საქართველოში ყველაზე აღმატებული და მთავრობისგან უფრო მეტად და უფრო უშურველად ყურადღებამისაქცევი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი თავკაცისას.

როინ მეტრეველი კარგა ხანია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება და გამოჩენილი მამულიშვილია.

როინ მეტრეველი ცნობილი ისტორიკოსი და თაობათა აღმზრდელია.

როინ მეტრეველი მინიმუმ ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე პედაგოგი და სხვადასხვა დონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თანამდებობებზე წარმოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ზნეობრივად მუდამ გამარჯვებული (და ეს ყველაზე მთავარია), ერისა და ბერის მსახურია. როინ მეტრეველი „მესიის მახვილის“, დიდი დავით აღმაშენებლის მებრძოლი რაინდების შთამომავალია და დღეს ქართველთა სამეცნიერო დიდგორის მოგებისთვის იწყებს ბრძოლას!

როინ მეტრეველი ღვთის ღირსეული მონა და საქართველოს ეკლესიის 45-წლოვანი საჭეთმპყრობელის ილია მეორის ერთგული მეგობარი და ჩვენი გადამრჩენელი დედაეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე მართალი მემატიანეა. მისი საერო-საეკლესიო წიგნები და პუბლიცისტური ნარკვევები ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია.

ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევის წინ როინ მეტრეველი სწორედ მისი უწმინდესობის შთამბეჭდავი სიტყვებით ამხნევებს თავის თანამებრძოლ კოლეგებს: „საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყანა მტერთა შემოსევებს იგერიებდა და მშვიდობა მუდამ სანუკვარი გვქონდა. დღესაც ქვეყანა უმძიმეს პერიოდს გადის და ძალისამებრ ჩვენისა გვმართებს, რომ ვიზრუნოთ ჩვენი მშვიდობიანი ხვალინდელი დღისთვის, ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის“...

როინ მეტრეველმა ძალიან კარგად იცის, რომ დღესაც ქვეყანა უმძიმესი პრობლემების და გამოწვევების პირისპირ დგას და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ავტორიტეტული სიტყვა და საქმე მართლაც საფანლად დაედება საზღვარგარეთ უმოწყალოდ გაპარულ-გადინებული „ქართული ტვინების“ სამშობლოში დაბრუნებას, ახალი „ტვინების“ აღმოჩენას და განვითარებას...

კარგა ხანია ვვიშვიშებთ და ვმოთქვამთ, რომ პატარა, მაგრამ მზის, ვაზისა და უდიდესი კულტურის მქონე, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას მხოლოდ განათლება და მეცნიერება თუ იხსნის გადაშენებისგან!

მხნედ, ბატონო როინ, ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნული აკადემიის ყველაზე ეროვნულ პრეზიდენტს უფალი შეგაძლებინებს ურთულესი მიზნების აღსრულებას!

ტრადიციისამებრ, დედაუნივერსიტეტის და დამოუკიდებელი საქართველოს თანატოლი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ დაშთება ეროვნული აკადემიის აღორძინების სამსახურად!

მთავარი რედაქტორი

დაღმასვლა... საკაშვილიდან ხაბეიშვილამდე ③

თემურ ალასანია აპირებს, დავით არახამიას ენმ-ის მართვა ჩააბაროს და მისი პრემიერად დასახელების იდეაც კი გაახმაურეს!

ჩინეთი-საქართველო: „ვითანამშრომლოთ საერთო მომავლისთვის!“ ⑤

ახალგაზრდებს უნდა გავაგებინოთ, რომ დღეს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა გამორიცხულია! ④

სალომე ზურაბიშვილი ეზიდთა თემს „ტავაფა ეზიდის“ დღესასწაულს ულოცავს

„ვულოცავ საქართველოს ეზიდთა თემს თბილისის ეზიდის ტაძრის, „ტავაფა ეზიდის“ დღესასწაულს და კეთილდღეობას ვუსურვებ მათ. ქვეყნის რელიგიური მრავალფეროვნება ქართული კულტურისა და საზოგადოების ტოლერანტობის მნიშვნელოვანი მაგალითია, რომელიც ნათლად მიანიშნებს, რომ საქართველო ევროპული ოჯახის ნაწილია და მას უნდა დაუბრუნდეს“, – წერს სალომე ზურაბიშვილი.

პეტერ ფიშერი: გერმანიას სურს, რომ საქართველო ევროკავშირს შეუერთდეს

ვფიქრობ, არსებობს კარგი შანსები, თუ ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და განვაგრძობთ 12 პუნქტის შესრულებას. გერმანიას სურს, რომ საქართველო შეუერთდეს ევროკავშირს, – ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა, პეტერ ფიშერმა განაცხადა.

„პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი პარასკევს იმყოფებოდა ბერლინში. მას ჰქონდა ძალიან დატვირთული შეხვედრა კანცლერ შოლცთან. მათ, რა თქმა უნდა, ისაუბრეს ზოგად საერთაშორისო სიტუაციაზე, ასევე, იმ რისკებზე, რაც შეიძლება, გამოიწვიოს რუსეთის აგრესიამ უკრაინაში და ამის მნიშვნელობაზე საქართველოსთვის. კანცლერმა უთხრა პრემიერ-მინისტრს, რომ გერმანია განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას მის ევროპულ გზაზე. უთხრა ისიც, რომ ვუყურებთ 12 პრიორიტეტს, გვინდა, დავინახოთ მკაფიო ნიშნები იმისა, რომ საქართველო სრულად აკმაყოფილებს ყველაფერს, რაც ევროკავშირს სჭირდება. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ეს ასეა. ვფიქრობ, არსებობს კარგი შანსები, თუ ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და განვაგრძობთ 12 პუნქტის შესრულებას. გერმანიას სურს, რომ საქართველო შეუერთდეს ევროკავშირს“, – განაცხადა პეტერ ფიშერმა.

ირაკლი კობახიძე: პოლარიზაციას სჭირდება ოპოზიციაში რადიკალიზმის შემცირება!

პოლარიზაცია არის პრობლემური პუნქტი. პოლარიზაცია რეფორმებით ვერ დასრულდება, მას სჭირდება რადიკალიზმის შემცირება ოპოზიციაში, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

კობახიძის თქმით, ამ მიმართულებით ოპოზიციის მხრიდან ნაბიჯები არ იდგმება.

„ყველა თემასთან დაკავშირებით გვაქვს მყარი პოზიციები. ივნისის ბოლომდე დასრულება მუშაობა თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, პოლარიზაცია არის პრობლემური პუნქტი. პოლარიზაცია რეფორმებით ვერ დასრულდება, პოლარიზაციას სჭირდება რადიკალიზმის შემცირება ოპოზიციაში. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები არ იდგმება. რაც შეეხება იმ პუნქტებს, რაზეც ჩვენ გვეკისრება პასუხიმგებლობა, ეს არის რეფორმები, თანამდებობის პირთა არჩევა. ჩვენ ყველა შესაბამისი პუნქტი სათანადოდ შევასრულეთ ან შევასრულებთ ივნისის ბოლომდე. მუნებრივია, ჩვენ ჩვენს პარტნიორებს მუდმივად ვუზიარებთ ინფორმაციას რეფორმების განხორციელების მიმდინარეობაზე. შესაბამისად, ჩვენ ვართ პირნათელი რეფორმების განხორციელების კუთხით და მეორე – ინფორმირებაც, რა თქმა უნდა, არის უზრუნველყოფილი, ჩვენი პარტიორების ფართო ინფორმირება ჩვენი პასუხისმგებლობაა და ამას ვაკეთებთ“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

კახა კალაძე: რეკომენდაციების შესრულებაში ჩართულია მხოლოდ ხელისუფლება

თბილისის მერის განცხადებით, სამწუხაროა, რომ ევროპული რეკომენდაციების შესრულებაში მხოლოდ ხელისუფლებაა ჩართული, ოპოზიცია კი პირიქით, ამ პროცესს ხელს უშლის, – ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცის განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვუერთდებით სურვილს, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულდეს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ რეკომენდაციების შესრულებაში მონაწილეობს მხოლოდ ხელისუფლება. ოპოზიცია სრულებით არ არის ჩართული, მეტიც ის დაკავებულია იმით, რომ ხელი შეუშალოს ამ პროცესს, ხელი შეუშალოს საქართველოს ევროინტეგრაციის რთულ გზაზე. ახალი არაფერია, როგორც წლების წინ მიმდინარეობდა მცდელობა, რომ ხელი შეეშალათ ქვეყნის ვიზალიბერალიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულებისთვის, დარბოდნენ ბრიუსელში, დღესაც იგივე ხდება, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს რეკომენდაციების შესასრულებლად, დეკემბერში კი ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩვენს ევროპელ მეგობრებზე, რომ მათ მიიღონ გადაწყვეტილება. მე მინდა მჯეროდეს, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება მიღებული და არა ისეთი, როგორც გაკეთდა მაშინ, როდესაც უკრაინას და მოლდოვას მისცეს სტატუსი და საქართველო დაჩაგრეს გარკვეული პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე“...

სოზარ სუბარი: 4 ყველაზე მდიდარი „ენჯეო“ უფრო მეტს იღებს და ხარჯავს, ვიდრე ყველა პოლიტიკური პარტია ერთად!

საქართველოში თუ ვინმეს ფინანსები არის გაუმჭვირვალე, ეს არის „ენჯეო“ სექტორი, რადგანაც ეს არის სექტორი, სადაც უზარმაზარი ფული იხარჯება, – ასე გამოეხმაურა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, სოზარ სუბარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინიციატივას.

„მაგალითისთვის – 4 ყველაზე მდიდარი ენჯეო უფრო მეტს იღებს და ხარჯავს წლის განმავლობაში, ვიდრე მთელი პოლიტიკური პარტიები ერთად აღებული. ამ დროს, რაში იხარჯება ან რამდენად მიზნების შესაბამისად იხარჯება, ამაზე არ არსებობს არანაირი ცნობა. ეს არის ორმაგი სტანდარტი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ეს ენჯეო სექტორი პარალელურად თავს პოლიტიკურ მოთამაშედ მიიჩნევს“, – აცხადებს სუბარი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის, რომელიც ქვეყანაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების სისტემის გაძლიერებას ითვალისწინებს. არასამთავრობო ორგანიზაციამ შესაბამისი კანონპროექტით პარლამენტს უკვე მიმართა.

უკრაინელი ჟურნალისტები „სიყალბეში“ აღმოჩნდნენ!

SEMAFOR.COM

ომის გაშუქებაზე მომუშავე აღგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები სამხედროებთან შეწინააღმდეგების შემთხვევაში აკრედიტაციას კარგავენ!!!

ჟურნალისტები, რომლებიც უკრაინაში რუსეთის შეჭრას აშუქებენ, ჩართულნი აღმოჩნდნენ ხანგრძლივ კონფლიქტში უკრაინის ხელისუფლებასთან, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, იყენებს წვდომასა და აკრედიტაციას ჟურნალისტური მასალების ფორმირებისთვის.

ამის შესახებ გამოცემა Semafor-ის სტატიაში ამერიკელი ჟურნალისტი ბენჯამინ სმიტი წერს.

„NBC News-bc7 The New York Times-ის, CNN-ის, The New Yorker-ისა და უკრაინული Hromadske-ს ჟურნალისტურმა მასალებმა გამოიწვია ის, რომ უკრაინულმა საზედამხედველო ორგანოებმა ჟურნალისტებს აკრედიტაცია შეუჩერეს ან უარი თქვეს აკრედიტაციის გაცემაზე, მიზეზად კი წესების დარღვევა დაასახელეს.

კონფლიქტმა საჯარო სივრცეში მაისის ბოლოს გადაინაცვლა, როდესაც ცნობილმა უკრაინელმა ფოტოგრაფმა მაქსიმ დონდიუკმა შტეფკჰფქ-ზე დაწერა, რომ შეიარაღებული ძალების პრესსამსახური მას აკრედიტაციის გაუქმებით ემუქრება იმის გამო, რომ New Yorker-ის სტატიაში გამოქვეყნდა მისი ფოტოები, სადაც სანგრებში მყოფი უკრაინელი ჯარისკაცების ცხოვრებაა ასახული.

„ხელისუფლება იძლევა მხოლოდ პრესატაშეს თანდასწრებით პრესტურის ჩატარების ნებართვებს, სადაც სამხედროები კამერების წინ პოზირებენ და რეალური ვითარების ჩვენება ეშინიათ“, – დაწერა დონდიუკმა პოსტში, რომელიც მოგვიანებით წაშალა.

უკრაინის ხელისუფლება ამოწმებს ჟურნალისტებს და გასცემს საშვებს, რომლითაც მედიის წარმომადგენლებს კონკრეტულ რაიონებში გამგზავრება შეუძლიათ, სადაც ისინი იღებენ ინტერვიუს ოფიციალური პირებისგან, ამის შემდეგ ხელს მოაწერენ დოკუმენტს, რომლითაც პირობას დებენ, რომ სამხედროების მიერ დადგენილ წესებს დაიცავენ.

უკრაინული მხარის განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია New York Times-ის რეპორტიორმა თომას გიბონს-ნეფმა, ყოფილმა საზღვაო ქვეითმა, რომელმაც გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინელი სამხედროები აკრძალულ კასეტურ ბომბებს იყენებენ.

ასეთი კონფლიქტები ძირითადად კულისებს მიღმა რჩება, რადგან აკრედიტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნიდან რეპორტაჟების მომზადებისთვის და ჟურნალისტები შიშობენ, რომ საჯარო კონფლიქტმა შესაძლოა კიდევ უფრო შეუზღუდოს მათი წვდომა ინფორმაციაზე. დასავლური და უკრაინული მედიაორგანიზაციების ჟურნალისტების უმეტესობა, რომლებსაც ასეთი კონფლიქტები ჰქონიათ, მომხდარზე ანონიმურობის დაცვის პირობით საუბრობს.

„უცხოელ კორესპონდენტებთან შედარებით, უკრაინელი ჟურნალისტები უფრო მძაფრ ზეწოლას განიცდიან, რათა წარმოადგინონ ოპტიმისტური შეხედულება იმ კონფლიქტის შესახებ, რომელშიც იღუპებიან მათი მეგობრები და ოჯახის წევრები“, – აცხადებს Hromadske-ს კორესპონდენტი ნასტია სტანკო.

ინფორმაცია ყოველთვის წარმოადგენდა ომის იარაღს და ვოლოდიმირ ზელენსკის მთავრობა ვირტუოზულად ჰყვება ქვეყნის ისტორიას“, – წერია სტატიაში.

ბენჯამინ სმიტი ამერიკელი ჟურნალისტია, რომელიც გამოცემა Semafor-ის თანადამფუძნებელია. 2020 წლიდან 2022 წლამდე ის გაზეთ The New York Tim-ის კოლუმნისტი იყო. 2011 წლიდან 2020 წლამდე კი BuzzFeed New-ის მთავარი რედაქტორი.

რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პაკეტს საბერძნეთი და უნგრეთი ბლოკავენ

ევროკავშირის ელჩები 8 ივნისს გამართულ შეხვედრაზე რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-11 პაკეტზე ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკებებს მომავალ კვირას გააგრძელებენ. შესაბამის ინფორმაციას გამოცემა „პოლიტიკო“ ოთხ ევროპელ დიპლომატზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის ცნობით, სანქციების პაკეტს ბლოკავენ საბერძნეთი და უნგრეთი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმას, რომ უკრაინამ ზოგიერთი მათი კომპანია „ომის სპონსორთა“ სიაში შეიყვანა.

სანქციების მე-11 პაკეტზე თანხმობის სანაცვლოდ, ათენი და ბუდაპეშტი მათი კომპანიების ამ სიიდან ამოღებას ითხოვენ. ამას გარდა, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, კერძოდ, გერმანია და საფრანგეთი შეშფოთებული არიან სანქციების გვერდის ავლის აკრძალვით, რადგან ისინი შიშობენ, რომ ამან, შესაძლოა, დიპლომატიური ურთიერთობები დააზარალოს. ევროკომისიამ უკვე შეამსუბუქა თავისი თავდაპირველი ინიციატივა და როგორც „პოლიტიკოს“ ერთ-ერთმა დიპლომატმა განუცხადა, ეს საკითხი მოგვარებადი ჩანს. აღნიშნულ ინიციატივას ელჩები მომავალ შეხვედრაზე, 14 ივნისს განიხილავენ.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲡ ᲔᲜᲛ-ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲐᲮᲛᲐᲣᲠᲝᲡ!

ᲓᲐᲚᲛᲐᲡᲕᲚᲐ... ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲘᲨᲕᲘᲚᲐᲛᲓᲔ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ.

ექსპრეზიდენტის ბიძა **თემურ ალასანია** უკმაყოფილოა, რომ საკაშვილის გასათავისუფლებლად **ვანო მერაბიშვილი** და **დავით კეზერაშვილი** არაფერს აკეთებენ, არსად ჩანს დაპირებული აქციები და საპროტესტო ტალღა...

for.ge-ს კი ექსკლუზიურად ანალიტიკოსი და „ხალხის ძალის“ ლიდერი, **დავით ქართველიშვილი** უყვება, რომ თემურ ალასანიას უფრო შორს მიმავალი მიზნები აქვს და დიდი ალბათობით, პარტიის მართვის სადავეების გადაბარება უკრაინაში მოღვაწე, ქართველი პოლიტიკოსისთვის, **დავით არახამიასთვის** სურს. ქართველიშვილი არ გამორიცხავს, რომ არახამია ენმ-ის პრემიერობის კანდიდატადაც კი დაასახელონ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უხერხულ კითხვებს გაურბიან. მათ შორის იმის შესახებაც, არის თუ არა საკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მუშაობით კმაყოფილი. ვიდრე თემურ ალასანია საჯაროდ გამოჩნდება, მას, სავარაუდოდ, უკვე ჰქონდა კომუნიკაცია ჟურნალისტ **ელისო კილაძესთან**, რომელიც ამტკიცებს, რომ საკაშვილის ოჯახი ხაგეიშვილის გუნდის მუშაობით უკმაყოფილოა. მთავარი დაპირება, პრეზიდენტის გათავისუფლების შესახებ, ისევ შეუსრულებელია და არც უწყვეტი აქციები ჩანს სადმე. ამიტომ ენმ-ში ახალი დაპირისპირებაა მოსალოდნელი.

დავით ქართველიშვილი ამბობს, რომ ძირითადი პროცესებით, რომლითაც ახლა ვანო მერაბიშვილია დაკავებული, პარტიისთვის ფინანსების მოზიდვაა. ქართველიშვილი ამბობს, რომ ამ საქმეში მერაბიშვილს ჩართული ჰყავს უკრაინული მხარე და თემურ ჭყონიას ოჯახი. ხოლო მერაბიშვილსა და ალასანიას შორის დაპირისპირება 2024 წლის სიის გამო არის დაწყებული და ასევე იმ დაპირების შეუსრულებლობის გამო, რომელიც საკაშვილის ციხიდან დახსნაზე ლევან ხაგეიშვილს დაადებინეს.

„ჩემი ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილი გასაჭირშია, რადგან პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებით დავით კეზერაშვილმა მოატყუა. ის თანხები, რაზეც არჩევნების წინ იყო საუბარი, მერაბიშვილს კეზერაშვილმა არ ჩაურიცხა, ამიტომ ის იძულებულია, რომ შეადგინოს ისეთი საარჩევნო სია, რომლის მეშვეობითაც პარტიის ყულაბაში ფული შევა. სწორედ ამის გამო, მერაბიშვილი თემურ ჭყონიას ქალიშვილს, სოფო ჭყონიას სიის მთავარ ფიგურანტად მიიჩნევს. ასევე საუბარია დავით არახამიაზეც, რომელთან მოლაპარაკებას როგორც ალასანია, ასევე მერაბიშვილი ცდილობს. მერაბიშვილს აქვს ასეთი იდეა, რომელიც პარტიაში ზოგს მოსწონს და ზოგს არა, რომ მომავალი პარტიის სიის პირველ ნომრებად დაასახელოს ისეთი პირები, რომლებიც პარტიას დამატებით ფინანსურ სარგებელს მოუტანს. სოფო ჭყონიაც სწორედ ამ მიზნით ჰყავს შერჩეული. არ არის გამორიცხული, რომ თემურ ალასანიას ეს ინფორმაცია უკვე აქვს და ის მსგავსი მეთოდით, პარტიის ახალი ელიტის შექმნას ეწინააღმდეგება“, – ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, თემურ ალასანიას მთავარ მოთხოვნას ნებისმიერი გზით საკაშვილის ციხიდან დახსნა წარმოადგენს. ამიტომაც ენმ-ის ახალი მენეჯმენტისგან დაპირებულის შესრულებას ითხოვს. ქართველიშვილი ამბობს, რომ მიხეილ საკაშვილის პრემიერობაზე უარის თქმა პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ ის საქართველოს მოქალაქე არ არის და მეორეც, სავარაუდოდ, ალასანია პრემიერობის კანდიდატად დასახელებას დავით არახამიას უპირებს.

„უცხო ქვეყნის მოქალაქე ვერ გახდება პრემიერი კი არა, უბრალო საჯარო მოხელეც კი. ამიტომ ვის თავში მოიხარშა ეს სისულელე, ან რატომ ჰგონიათ, რომ ენმ-ის ამომჩეველი ასეთი უცოდინარია და არ იციან, რომ საკაშვილის პრემიერობის კანდიდატად დასახელებაზე საუბარი სისულელეა. თუ ასეთი დაჩლუნგებული ამომრჩეველი შემორჩა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ფიქრობენ, რომ ამას დაიჯერებენ, მართლა იმაზე ცუდად ჰქონიათ საქმე ვიდრე გვგონია. მე არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, საკაშვილის შეწყალების მაგივრად, საქართველოს მოქალაქეობა დავით არახამიას მიანიჭოს. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, თემურ ალასანია აპირებს, დავით არახამიას „ნაციონალურ მოძრაობაში“ პროცესების მართვა ჩააბაროს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ არახამიას ენმ-ის პრემიერად დასახელების იდეაც კი გაუღერდეს. წელს თუ არა, ეს გაისად შესაძლოა მოხდეს. ეს პროცესები არ გამოვრიცხოთ და ეს ვარიანტი ზუსტად ალასანიას გეგმებში უნდა შედიოდეს. ამას მერაბიშვილი დაეთანხმება, არ დაეთანხმება, გამწვავდება თუ არა მათ შორის დაპირისპირება, უკვე დრო აჩვენებს. რამდენად შეიძლება არახამია ორივე მხარისთვის მისაღები იყოს, აუცილებლად გამოჩნდება“, – ამბობს ქართველიშვილი.

რაც შეეხება თემურ ალასანიას ფიგურას და მის გავლენას პარტიაზე, ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობაში“ გარკვეული გავლენებით სარგებლობს. ანჯაფარიძე ამბობს, რომ ეს გავლენები უკავშირდება, ერთი მხრივ ფინანსებს და ასევე ენმ-ს საერთაშორისო ასპარეზზე კონკრეტული კაბინეტების გაღებაში ეხმარება.

„ალასანია არის ე.წ. რუხი კარდინალი, რომელსაც პარტიაზე არც თუ მცირე გავლენა აქვს. ეს იქნება, როგორც ფინანსური, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე კავშირების დახმარებით. გვახსოვს ალბათ, როცა თემურ ალასანია შარშანწინ, დეკემბერში საქართველოში ჩამოვიდა, პირდაპირ პარტიას უსაყვედურა, რომ საკაშვილის დასახსნელად შესაძლებელი გაკეთეთ, მაგრამ შეუძლებელი არაო. მაშინ პარტიის თავამჯდომარე ნიკა მელია იყო. შესაბამისად, ვფიქრობ, „ნაცმოძრაობაში“ ეს შიდა გადატრიალება ამიტომ მოხდა. მელია ხაგეიშვილით ჩაანაცვლეს იმ იმედით, რომ საკაშვილის დასახსნელად აქციები დაიწყებოდა. ამ გადატრიალების უკან იდგნენ, არა მხოლოდ მერაბიშვილი და კეზერაშვილი, არამედ ალასანიაც. ხაგეიშვილის არჩევიდან კი საკმაო დრო გავიდა და დადგა თამასუქების გასტუმრების პერიოდი. ალასანია უკვე შედეგებს ითხოვს.

„ვივამედდთან“ მოწყობილი უსუსური აქციაც იმის მცდელობა იყო, რომ გულხელდაკრეფილები არ ვსხედვართო. თემურ ალასანია და საკაშვილის ოჯახი შედეგს ითხოვს. შედეგი როგორ უნდა დადონ, მაშინ კანონსაწინააღმდეგო ქმედება უნდა ჩაიდინონ და საკაშვილს გვერდით მიუსხდნენ. ოჯახი ხედავს, რომ არც მილიონიანი კამპანიებით და ლობისტების დახმარებით გამოვიდა რამე და არც სამართლებრივი გზებით. სტრასბურგმა უარი უთხრა და ახლა ისევ პარტიაზე დაიწყეს ზეწოლა“, – ამბობს ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, ამიტომ თემურ ალასანია ცდილობს სიტუაცია გადაალაგოს, მაგრამ რა მიმართულებით ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ანჯაფარიძე ამბობს, რომ ალასანია არ არის ასე ხელწამოსაკრავი ფიგურა. ის არის ძალიან სასარგებლო კავშირებით აღჭურვილი პირი, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში. ის ორივე მხარისთვის მისაღები ფიგურაა. ალასანია ამერიკაში ისე ცხოვრობს, რომ მის მიმართ წარსულის გამო კითხვები არ აქვთ. ის კი ამ გავლენებს იყენებს, როცა დასჭირდება.

„ჯოხის ლევან ხაგეიშვილზე გადატეხა ცოტა საეჭვო მგონია, რადგან არჩევნებამდე უკვე ცოტა დრო რჩება და ისევ თავმჯდომარის შეცვლა თავად პარტიას ძალიან დააზიანებს. ახალ თავმჯდომარესაც იგივე პირობა ექნება შესასრულებელი, რომ საკაშვილი ციხიდან უნდა დაიხსნას და აზრი? ამიტომ მე მაინც ვფიქრობ, რომ ხაგეიშვილისნაირი ფიგურა აწყობთ, რომელიც არჩევნების წინ რეგიონებში ირგენს და მელიასგან განსხვავებით, რომელიც უფრო კაბინეტის პოლიტიკოსი იყო, ამ მხრივ უპირატესობა ექნება. თუმცა ხაგეიშვილით არჩევნებზე გასვლაც ენმ-ისთვის ძალიან მძიმე ამბავია. პარტიის საკაშვილიდან ხაგეიშვილამდე დაშვება, რა თქმა უნდა, დიდი დაღმასვლაა“, – ამბობს ანჯაფარიძე.

ᲔᲚᲖᲐ ᲞᲐᲞᲝᲨᲕᲘᲚᲘ



ახალგაზრდებს უნდა გავაგებინოთ, რომ დღეს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა გამორიცხულია!

გვესაუბრება
ისტორიკოსი და
ანალიტიკოსი
ედიშერ გვენეტაძე

გატონო ედიშერ, პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ქვეყანაში პროცესების რადიკალიზაცია გამორიცხულია და ოპოზიციის ყველა მცდელობა უშედეგო იქნება, უცხოეთიდან ჩარევების და რადიკალების დაფინანსების მიუხედავად. თუმცა, ვხედავთ, რომ ძალიან აქტიურად მიდის რადიკალური ჯგუფების გადამზადება და მათ შორის ოპოზიციურ გაერთიანებაზე საუბრობს ლევან ხაბეიშვილი. როგორ ფიქრობთ, მოხდება „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო გაერთიანება, რომლის იდეოლოგიც არის ვანო მერაბიშვილი?

– „ნაციონალური მოძრაობა“ რომ არანაირ ძალას არ წარმოადგენს, ეს არის აშკარა. მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით, მისი თავმჯდომარე არის ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიც არის ხაბეიშვილი...

– რომელსაც ერთ-ერთი ვერსიით სექტემბრიდან ლევან მეჟაშვილი შეცვლის...

– შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება. დამთავრებულია „ნაციონალური მოძრაობა“ და ამას თქმა არ უნდა. ხაბეიშვილი დანარჩენ პარტიებს რომ ეპატიჟება, ეს მაგონებს ქართულ ანდაზას – „მკვდარმა, მკვდარს უთხრა საფლავამდე მიმაცილეო“ – აი, ეს არის მათი საქმე. რაც შეეხება თქვენს კითხვას, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პროცესებში უცხოური ძალების ჩართულობის გარეშე, ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან. არც მომზადებლები არიან, არც იარაღის ხელში დამკავებლები და არც იარაღის მიმცემი... ამას აკეთებენ გარე ძალები. ამიტომ იყო საჭირო სწორედ და აუცილებლობას წარმოადგენდა ის, რომ მიღებული იყო ამერიკული FARAS-ს კანონი საქართველოში. მაგრამ, იგივე უცხო ძალებმა, რომლებიც აიარაღებენ, რომლებიც ამზადებენ და რომელთაც უნდათ, რომ საქართველოში მოაწყონ გადატრიალება, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს კანონი არ ყოფილიყო მიღებული.

– როგორ ფიქრობთ, რატომ აქვთ ეს სურვილი, რომ შეცვალონ ხელისუფლება? გასაგებია, ოპოზიციას რა მოტივით სურს ხელისუფლების ცვლილება, მაგრამ გარე ძალების ინტერესი რა არის?

– დღევანდელ ოპოზიციას არანაირი ძალა არ გააჩნია იმისა, რომ საქართველოში შეცვალოს ხელისუფლება. ასე თუ გაგრძელდა და დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკური პროცესები ასე გაგრძელდება, ხელისუფლება აიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობაზე მეტს.

– ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ავტორიტარული მმართველობა შემოდის...

– სრულიად გეთანხმებით, ეს არის ძალიან ცუდი. მაგრამ, მეორეა – რუსთაველის პროსპექტზე, ასფალტზე ააფრინო მწყერი... არაა ოპოზიცია, არ ჩანან და ვის მისცემს ხალხის უმეტესობა ხმას: ჭიჭე ვაშაძეს, პატიკო მანჯგალაძეს?

– ჭიჭე ვაშაძე, როგორც თქვენ ეძახით, ვანო მერაბიშვილთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომ „სატრატეგია აღმაშენებელი“ შეუერთდება „ნაციონალურ მოძრაობას“ იმ შემთხვევაში, თუკი იქნება ოპოზიციის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი...

– მეც ვაპირებ და მინდა ჩინეთის პრეზიდენტობა, მაგრამ დამნიშნავს ვინმე და ამირჩევს? ანალოგიურ სიტუაციაში არის ჭიჭე ვაშაძე, რომელიც რომ არ ყოფილიყო კოჰაბიტაცია, დასაჭერი იყო, იმიტომ, რომ 2012 წელს 30 ათასი ყალბი პირადობის მოწმობა დაბეჭდა. მაგრამ, ეს ჭიჭე ვაშაძე და მისნაირები დაიცვეს ისევე მისმა პატრონებმა. გაიხსენეთ, რას ლაპარაკობდა ამერიკიდან დაბრუნებული ეს ბრიყვი: ამერიკა თანახმა არის საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოსო – გაყიდა ისინი ეგრევე. მითხარით, რომელ კანონში წერია, რომ ამერიკის ხელისუფლება უნდა ცვლიდეს საქართველოში ხელისუფლებას?!

– ეს პრაქტიკა გვქონდა ჩვენ, შეგახსენებთ, რომ ამერიკა იყო მთავარი დაინტერესებული მხარე რუსეთთან ერთად, ვინც შეცვალა შევარდნაძის ხელისუფლება...

– კი, ბატონო, ასე იყო, მაგრამ ამიერიდან ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს.

როგორც ირკვევა, ვანო მერაბიშვილი აწარმოებს მოლაპარაკებას კონკრეტულ ჯგუფებთან, მათ შორის ახალგაზრდებთან და როგორც კულუარებიდან ვრცელდება ინფორმაცია, მიმდინარეობს მათი გადამზადება არა საარჩევნო პროცესისთვის, როგორიც არის დამკვირვებლის ფუნქცია, ან უზრუნველყონ საარჩევნო უბნებზე ხმების დაცვა, არამედ იმისთვის, რომ არჩევნებამდე ქვეყანაში მოაწყონ ქაოსი, რაც უნდა გადაიზარდოს რევოლუციურ პროცესებში. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ინტერესში არ შედის პროცესების არჩევნებამდე მიყვანა?

– სახელმწიფო იმიტომ არის სახელმწიფო, რომ მან უნდა იმოქმედოს სახელმწიფოებრივად! ვინც კი ოდნავ რამეს დააშავებს, არ უნდა ვუყუროთ იმას, იქიდან ფოტიგამ რა დაიძახა, კიზინგერმა, ან კუბილიუსმა, არამედ უნდა შეაგდონ ვირის აბანოში. იყვნენ იქ – იჭყუმპალაონ და რამდენიც უნდათ იმდენი რევოლუცია მოახდინონ. დღეს, საქართველოში არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. ვინაა იმის გარანტი, რომ ძალადობრივი გზით მოსული ხელისუფლება შემდეგ ისევ ძალადობრივი გზით არ შეცვალონ? ამის გარანტიას გვაძლევს ვინმე? – არა. შევარდნაძემ ძალადობრივი გზით შეცვალა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, იგივე ძალადობრივი გზით შეცვალეს შევარდნაძე. იგივე უნდოდა სააკაშვილს, არ უნდოდა მას ხელისუფლებიდან წასვლა, მაგრამ დასავლეთმა უთხრა რომ აუცილებლად წასულიყო. თვითონ ამბობს, რომ უმტკივნეულოდ წავედიო, მაგრამ არა ბატონო, არსად უმტკივნეულოდ არ მიდიოდა. გახსოვთ რას აკეთებდა ხაშურში და რა ძალები შეუსია საარჩევნო უბნებს, მაგრამ რაც მოხდა, ვიცით. იცით, რა მოხდა ლაფანყურში და ა.შ.

ამიტომ, უნდა ისწავლოს ხალხმა, რომ საქართველოს კიდევ ერთი 90-იანი წლები არ უნდა. თუ ჭიჭე ვაშაძე დამიჯდება ძალადობრივი გზით პრემიერად, მოვითმენთ? არა, ბატონო! და ჩემისთანა ასიათასობით არის. იმიტომ გამოუგონებია კაცობრიობას ყველაზე მაგარი ტყვია, რომელსაც ჰქვია საარჩევნო ბიულეტენი, რომ ჩაადო ყუთში და გაისტუმრო ის ხელისუფლება, რომელიც შენ არ მოგწონს. ამიტომ, ყველამ მიხედოს საკუთარ თავს, თორემ ის ბავშვები იქნებიან, თუ მისი მშობლები, ელოდონ ქართველი ხალხისგან საშინელ შურისძიებას. აქ არავინ არ დაუშვებს კიდევ ერთხელ ხელისუფლების გადატრიალებას. მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლის პრობლემა არ არის, მაგრამ მშვიდობიანი გზით პატიკო მანჯგალაძე რომ ხელისუფლებას ვერ შეცვლის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

– ცხადია, რომ ოპოზიციაში საუბარი არ არის იდეებზე, მიზნებზე, ამიტომ საზოგადოება ნიჰილისტურად არის განწყობილი და დიდი მოლოდინი არ აქვთ ოპოზიციის გაერთიანება რამეს შეცვლის. როგორ ფიქრობთ, რატომ არაა ოპოზიციის მხრიდან საუბარი პროგრამებზე, იდეებზე?

– პირიქით დავსვამ შეკითხვას? – ქურდმა, ბანდიტმა, ყაჩაღმა, კაცის მკვლელმა და კაცების მწამებლებმა რა უნდა შესთავაზონ ახალი ხალხს? პირიქით, გამოვიდა მელია და ასეთი რამე გვითხრა – იმდენს არ გაწამებთ, რამდენსაც ისინი გაწამებდნენო. გამოვიდა ხაბეიშვილი და გვითხრა, რომ ჩვენ კი არ დაგვვიწყებია, როგორ გაწამებდითო, გამოვიდა თარგამაძე და გვითხრა, რომ გვაცალეთ და სულს რომ გართმევდით, იმაზე მეტად ამოგხდით სულსო. აი, ეს ხალხია ნაცები! ამიტომ, ყოვლად წარმოუდგენელია ამათგან რაიმე ახალი იდეები.

– თუმცა, პარტიის საარჩევნო სიის განახლებაზე ზრუნვა დაწყებულია. ვანო მერაბიშვილმა დაიბარა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული მიზნესმენები და დაავალა საარჩევნო ყულაბის შევსება სიაში შეყვანის საფასურად. ერთ-ერთი ასეთია თემურ ჭყონიას ოჯახი, კერძოდ, სოფო ჭყონია იქნება პარტიის გამსვლელ ხუთეულში. ასეთი სახეების წინ წამოწევა რას აძლევს „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელსაც იგივე NDI-ის გამოკითხვით 5% აძლევს ხმას?

– ელემენტალური რამ არის მათემატიკაში – ნულს მივუმატოთ ნული, მივუმატოთ ნული, არის ისევ ნული. როგორც ვიცი, თაკო ჩარკვიანიც იქნება მანდ და მინდა გითხრათ, რომ ჩარკვიანი და ჭყონია ერთმანეთისგან არაფრით არ განსხვავდებიან. სოფო ჭყონიას, ისევე როგორც მამამისს, გარე ძალები ალაპარაკებენ. ესენი იმდენად დახვეწილი არამზადები არიან, რომ შემთხვევით არაფერს არ დაილაპარაკებენ. მინდა ამ ხალხს ვკითხო, რომლებსაც ამდენი შემოსავალი აქვს – რომელ საბავშვო სახლზე აქვთ მზრუნველობა აღებული? ან რომელიმე ერთი სკოლა თუ გაარემონტეს? ან ერთი ქილა საღებავი თუ ჩაუსვევს სადმე? ან ერთ გაჭირვებულს თუ დაეხმარნენ რაიმეთი? – არა!

კი, რაღაცა პროცენტებს მიიღებენ და ერთ ადგილს დადგენენ იქ, იმ სავარძელში, რომლისთვისაც თავს იკლავენ, მაგრამ ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის. კიდევ მეტს ვიტყოდი, მაგრამ თავს შევიკავებ. ნამეტანს თუ გაახურებენ, მერე იმასაც ვიტყვი. ადამიანები რომ საკუთარ ეროვნებას უღალატებენ, იმათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– რაც შეეხება სტუდენტებს, მათი გადამბირების პროცესი დაწყებულია და სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ეს პროცესი ხელიდან გაუშვა. ახალგაზრდების ძალიან დიდი ჯგუფი დღეს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის, ხელისუფლებას არ აქვს კომუნიკაცია ამ ახალგაზრდებთან. როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად დიდი პრობლემაა ხელისუფლებისთვის? 7-8 მარტის მოვლენებმა გვაჩვენა, რომ ეს არის თაობა, რომელიც კონსტრუქციული დიალოგის წინააღმდეგია, არის აგრესიული და ეს აგრესია გააჩინა მათში სწორედ იმ პროპაგანდამ, რატომაც შეიქმნა ეს ე.წ. ფრანკლინის კლუბი...

– ამ ახალგაზრდებთან სახელმწიფოს მუშაობაა საჭირო. ვინც ტვინგამორეცხილია, ანტისახელმწიფოებრივად აზროვნებს და ეს თუ ქმედებაში გადავა, იმიტომ არის სახელმწიფო სახელმწიფო, რომ მან გამოიყენოს შესაბამისი ზომები. ანუ, მან გამოიყენოს ის სადამსჯელო ღონისძიება, რომელიც კანონით არის განსაზღვრული. კიდევ ერთხელ, არ ვამბობ, რომ ვინმე უნდა დაისაჯოს კანონგარეშე, არა ბატონებო, ამ ადამიანებთან უნდა ჩატარდეს დიდი საგანმანათლებო მუშაობა და ამის შემდეგ თუ ვინმე ქაშუეთის ეკლესიის ეზოში შარდვას დაიწყებს, რუსთაველის თეატრზე ფალოსების მიხატვას, პოლიციის ავტომანქანების და კერძოს საკუთრების, არქიტექტურული ძეგლების ნგრევას, პოლიციელების ცოცხლად დაწვას და ამავე დროს იარაღის ხელში აღებას შეეცდება, რა თქმა უნდა, მათ მიმართ უნდა გატარდეს კანონით განსაზღვრული ღონისძიება და ეს ადამიანები უნდა აღმოჩნდნენ საზოგადოებისგან იზოლირებულად.

მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ ახალგაზრდებთან სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს მთელი რიგი სამუშაოები. ეს უნდა იყოს მეცნიერულად გაწერილი, ისინი არიან სახელმწიფოს შვილები და უნდა ვეცადოთ, რომ დავუბრუნოთ სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომ ემსახურონ საქართველოს სახელმწიფოს და არა თოფითა და იარაღით დაუპირისპირდნენ საკუთარ თავს და სახელმწიფოს.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა რამდენიმე დღის წინათ სამამულო მეცნიერების მესაჭის — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცხოვრებაში: მის წევრთა საერთო კრებაზე, ახალ პრეზიდენტად გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი აირჩიეს.

მისი წინამორბედის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის ამ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნის ორი ვადის დასრულების საბოლოო, მაჟორული აკორდი კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ღვაწლის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა, რის დამადასტურებელი მოწმობა ჩინეთის დედაქალაქ პეკინში 25-30 მაისს გამართული დიდი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმიდან ჩამოტანილი საპატიო ჯილდო გახლავთ. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ასეთი პატივი, ფორუმში მონაწილე თითქმის ასეული ქვეყნის დელეგაციათაგან, მხოლოდ ათს ერგო, რაც საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ შეტანილი წვლილის დიდი სიხარულის მომნიჭებელი აღიარებაა, ასევე, უდავოდ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მისი თავკაცის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის პიროვნებისადმი პატივისცემის გამოხატვის კიდევ ერთი მაგალითი. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ სულ რამდენიმე წლის წინათაც, ქალაქ იუნტაიში ქართულ-ჩინური ბიოტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს გიორგი კვესიტაძეს, მსოფლიოს გამორჩეულ ოცდახუთ მეცნიერთა რიცხვში, ჩინელ კოლეგებთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის საპატიო ჯილდო ჰქონდა მიღებული. ეს თვალნათელი მოწმობაა, რომ მეცნიერებაში, ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვან საქმიანობაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ კოლეგიალობას, უშუალო შემოქმედებით კონტაქტებს.

პეკინის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმთან დაკავშირებული ამ და სხვა საკითხების შესახებ, მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ხელმძღვანელს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს ვესაუბრეთ.

ჩინეთი-საქართველო: „ვითანამშრომლოთ საერთო მომავლისთვის!“

— გატონო გიორგი, თუ შეიძლება, გვიამბეთ პეკინის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის შესახებ.

— მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური სფეროს ამ ჭეშმარიტმა ზეიმმა, მთელი პლანეტის მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, ასევე საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო. მაისის მიწურულს ჩინეთის დედაქალაქმა ასზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსულ დაახლოებით 2700 სტუმარს უმასპინძლა, რომლებთან ერთად ფორუმის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ხელმძღვანელი სტრუქტურების, მათ შორის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატისა და პეკინის საქალაქო კომიტეტის, მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, განათლების, ფინანსთა, ეკონომიკის სამინისტროებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პეკინის ფორუმის მუშაობაში, რომელმაც მრგვალი მაგიდისა და სიმპოზიუმის ტიპის მოხსენებების წარდგენის პრინციპით წარიმართა, მონაწილეობის მისაღებად პეკინში წარგზავნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დელეგაციის შემადგენლობაში ვიყავით აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **თინათინ სადუნიშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, **რევაზ კაკუბავა** და მე. სიამაყით უნდა გითხრათ, რომ ამ წარმომადგენლობითი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრციდან, არამედ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებიდან, მიწვეული მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია იყო, თუმცა კი პიროვნულად პეკინში არაერთი იქაური სწავლული იყო მიპატიჟებული.

გვეამაყება, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ ფორუმზე წარდგენილმა მოსხენებებმა დამსწრეთა დიდი ყურადღება მიიპყრეს, რასაც თუნდაც ამის შედეგად უცხოელ პარტნიორებთან ხელმოწერილი ურთიერთანამშრომლობის შესახებ პეკინში ხელმოწერილი ორი ხელშეკრულება მოწმობს. რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს გამოსვლებს, აკადემიკოსმა თ. სადუნიშვილმა მოხსენება, რომელიც მცენარეული ფაგების თემას მიეძღვნა, მრგვალი მაგიდის რამდენიმე ათასიანი აუდიტორიის წინაშე წარადგინა, პროფესორმა რ. კაკუბავამ და მე ჩვენი მოხსენებები, შესაბამისად, საინჟინრო და ეკოლოგიის სფეროებში სიმპოზიუმურ ფორმატში წავიკითხეთ.

— რა იყო ფორუმის ძირითადი თემატიკა, რა პრობლემები და სამომავლოდ გადასაწყვეტი საკითხები იყო წამოიწეული წინა პლანზე?

— ეს თითქოს მარტივი, მაგრამ ერთობ ტევადი შეკითხვაა და თუ რატომ, ამას დარწმუნებული ვარ, უმალ მიმიხვდებით. პეკინის ფორმის დევიზი გახლდათ **„ვითანამშრომლოთ საერთო მომავლისთვის!“,** ამდენად, რადგან რომელ დარგშიც გნებავთ ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის მიზანი საერთო მომავალია, შესაბამისად, თემატიკაც, ფაქტობრივად, ადამიანის მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავდა. მათ შორის, უპირველესად აღსანიშნავია, მაღალი ტექნოლოგიების განვითარებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის, კოსმოსის კვლევისა და მისი ათვისების, მზის სისტემის პლანეტების შესწავლის, ეკოლოგიის, ტრანსპორტის, ტრადიციული და განახლებადი ენერგეტიკის, სამედიცინო და ბიოლოგიური კვლევების, მათემატიკური მოდელირებისა და კიდევ მრავალი სხვა სფეროს აქტუალურ საკითხებს.



— გასაგებია, რომ კაცობრიობის მოღვაწეობის ნებისმიერი მხარე თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ, ხომ არ იყო ისეთი საკითხები, რომლებიც ფორუმის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღების ფოკუსში იყო მოქცეული?

— ცხადია, ყველა საკითხს სათანადო ყურადღება მიექცა, მაგრამ მე მაინც მაღალი ტექნოლოგიების განვითარებისა და გარემოსდაცვით თემატიკას გამოვყოფდი. საქმე ის გახლავთ, რომ დღესდღეობით ჩინეთის რესპუბლიკაში მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 40 პროცენტი იწარმოება. ასეთი მრავალმხრივი და ამდენად ინტენსიური წარმოების პიროგებში, განსაკუთრებით კი მსხვილ ეკონომიკურ რაიონებში, ნიადაგის, ატმოსფეროს, გრუნტის წყლებისა და წყალსატევების ნარჩენი პროდუქტებით დაბინძურების დონე ვევრგან კრიტიკულ ზღვარზეა მისული, ამდენად გუნებისდაცვითი პროგლემატიკა დღენიადაგ ზრუნვის საგანია და გამუდმეგული ყურღადეგის ცენტრშია.

— რამდენად ყმაყოფილი ხართ პეკინის ფორუმში მონაწილეობით და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ჩინეთიდან?

— შთაბეჭდილებები, რაღა თქმა უნდა, ისეთია, კაცი უკეთესს რომ ვერ ინატრებ, რასაც, პირველ ყოვლისა, ჩვენი ვიზიტის შედეგები განაპირობებს. როგორც აღვნიშნე, ამაზე სამეცნიერო ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე დიდებული ორი ხელშეკრულება და ის უდიდესი ინტერესი მეტყველებს, რომელსაც როგორც ჩინელი, ისე სხვა ქვეყნების კოლეგები ქართული მეცნიერების მიმართ იჩენენ. აკადემიის დელეგაციის წევრთა მიერ წაკითხული მოხსენებების შემდეგ, ჩვენ ფორუმის რამდენიმე ათეული მონაწილე დაგვეკონტაქტა და არაერთ პრობლემურ საკითხზე ერთობლივად მოღვაწეობის წინადადებით მოგვმართა.

მეტად სასიხარულოა ის დიდი ინტერესი, რომელიც პეკინის ფორუმზე ჩვენი სასიქადულო მეგზევე ინჟინრის, აკადემიკოს თამაზ შილაკაძის წიგნებმა გამოიწვიეს, რომლებიც თან გვქონდა ჩატანილი.

ამდენად, ქართველ სწავლულებთან თანამშრომლობის ინტერესი ჩვენი უცხოელი კოლეგების მხრიდან ძალიან დიდია.

— მართლაც საინტერესოა, რამდენად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ქართული მეცნიერების პოტენციალი, გაგვაჩნია კი სხვათათვის საგულისყურო სიახლეები?

— რა თქმა უნდა, გაგვაჩნია და ამას, უწინარესად, როგორც უკვე მოგახსენეთ, იმ ორ დიდ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება მოწმობს. ერთობ სასიამოვნოა ისიც, რომ ერთობლივი მუშაობა ძალიან სწრაფად უნდა დავიწყოთ, რისთვისაც ჩვენი პარტნიორები ძალიან მოწადინებულნი არიან.

ამას შემიძლია ისიც დავამატო, რომ, ზოგადად თუ ვიტყვით, ჩინელი მეცნიერები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ქართველი კოლეგების საქმიანობას და სიახლეების კურსში გამუდმებით არიან. მაგალითად, დიდად გამაკვირვა, რომ ჩემმა იქაურმა კოლეგებმა სულ ახლახან მადრიდში გამოცემული ჩემი მონოგრაფიის „კაცობრიობა და ტექნოლოგიური გარემოს“ ამბავი მშვენივრად იცოდნენ!

მეტსაც გეტყვით: ინტერესი ჩვენს მიმართ იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ შიში მეუფლება — შევძლებთ კი ამდენი გამოწვევის ღირსეულად გამკლავებას? იქნებ არ დამიჯეროთ, მაგრამ ასეთი შფოთიანი ფიქრის მეტად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, სასიხარულო საფუძველიც კი მაქვს: ფორუმის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ საზეიმო წვეულებაზე, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბაი ჩუნლიმ, რომელიც, სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ საქართველოშიც გახლდათ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დელეგაციის, ზოგადად ჩვენი სამამულო მეცნიერების მიმართ უდიდესი სითბო გამოხატა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთთან თანამშრომლობის მხრივ ჩვენს აკადემიას განსაკუთრებული პრიორიტეტი აქვს მინიჭებული.

დამეთანხმებით, ასეთი თქმა ერთ რამედ ღირს! ასეთ დამოკიდებულებას ღირსეულად შეგებება და სათანადო მხარდაჭერაც სჭირდება!

ესაუბრა
ოთარ ტურაგელიძე

მათ დედაუნივერსიტეტი ასახელეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ კაპელას, ფუტსალის, ფრენბურთის გუნდებსა და მათ გულშემატკივრებს თსუ რექტორმა ჯაბა სამუშიამ მადლობის სიგელები გადასცა, სტუდენტური კაპელას ხელმძღვანელი ლაშა მირონაძე კი, უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

მიმდინარე წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის მიმართულებით განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა.

„ჩვენი სტუდენტები სამეცნიერო თუ სასწავლო პროცესების პარალელურად აქტიურად არიან ჩართულნი სპორტულ თუ შემოქმედებით ღონისძიებებში. ჩვენ შევაჯამეთ ის მნიშვნელოვანი წარმატებები, რომელიც 2023 წელს ჰქონდათ სპორტულ გუნდებს, ასევე დავაჯილდოვეთ უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა პოლონეთში წარმატებული გამოსვლისთვის, მინდა მივულოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თითოეულ მის სტუდენტს ეს გამარჯვება“, — განაცხადა თსუ რექტორმა ჯაბა სამუშიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა მე-19 საერთაშორისო საგუნდო ფესტივალის Mundus Cantat 2023 გამარჯვებული და გრან პრის (The Grand Prix) მფლობელი გახდა. რაც შეეხება სპორტის მიმართულებას, უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდი 2022-2023 წლების სეზონის ფუტსალის ლიგა 2-ის გამარჯვებული გახდა. სტუდენტური ფესტივალი 2023-ის ფრენბურთის ჩემპიონატში კი, გამარჯვება უნივერსიტეტის გოგონათა გუნდმა მოიპოვა და ოქროს მედლები გადაეცათ. უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი ვერცხლის მედლების მფლობელი გახდა.

ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ეროვნული აკადემიის ღირსების დაცვა!

(პირველი გვერდიდან)

კანონმა მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გამოაცხადა გელათისა და იყალთოს აკადემიის მემკვიდრედ. მართლაც, 80 წელს გადაცილებული აკადემია აგრძელებს უძველეს ქართულ ტრადიციებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სამეცნიერო სისტემის განვითარებას ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური სარგებლის მოტანა შეუძლია. კერძოდ, სამეცნიერო კვლევა და ინოვაცია ხელს უწყობს „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის“ ფორმირებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საექსპორტო პოტენციალის და საბოლოო ჯამში, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას. მნიშვნელოვანია მეცნიერების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების შესახებ“ კანონით განისაზღვრა სამეცნიერო სფეროს სამართლებრივი საფუძველი და პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული კანონით სახელმწიფომ აღიარა მეცნიერების მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში და აიღო მისი განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება. სამწუხაროდ, საქართველოს პოზიციები საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგში მოკრძალებულია. პრაქტიკული თვალსაზრისით, მეცნიერება სრულფასოვნად ვერ მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გამოყენებითი კვლევების კონკრეტულ ინოვაციურ პროდუქტად გარდაქმნის შემთხვევები იშვიათად გვხვდება. ფაქტია ისიც, რომ სამეცნიერო კვლევებით ნაკლებად არის დაინტერესებული კერძო სექტორი.

მიგვაჩნია, რომ აკადემიის თაოსნობით უნდა შეიქმნას სახელმწიფო პროგრამა ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების სფეროში ან გენეტიკაში (ცოცხალი სამუშაოს შესწავლის გაზისი).

დასახვეწი გვაქვს სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგი და შეფასების სისტემა. სამეცნიერო საქმიანობის დღევანდელი სისტემა ვერ უზრუნველყოფს სწორ მონიტორინგსა და ობიექტური შეფასების სისტემას – პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური შეფასებები რამდენადმე ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მეცნიერებათა აკადემიის მიერ განხორციელებული უმაღლესი სასწავლებლებისა და დასრულებული სამეცნიერო კვლევების შეფასებით, თითქმის 95% დადებითია. აუცილებელია მონიტორინგის ქმედითუნარიანობის ამაღლება. სამეცნიერო სფეროს მართვის სისტემის ფუნქციონირებასა და სამეცნიერო შედეგების შესასრულებლად აუცილებელია შეფასებისა და მონიტორინგის ქმედითი სისტემის არსებობა. აუცილებელია სერიოზული ნაბიჯი გადაიდგას შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებისათვის. საჭირო, აკადემიის განყოფილებები, საგანგებო კომისიები და ექსპერტის სტატუსით აღჭურვილი პირები უფრო აქტიურად ჩაებან მეცნიერთა მიერ წარმოებულ კვლევებში. მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ საბოლოო შეფასებაში, არამედ მათ დაგეგმვაშიც.

საჭირო, ჩვენი მცდელობა, ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაუმჯობესება, რომ სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მეცნიერების განვითარების აუცილებელი წინა პირობების შექმნაში, უზრუნველყოფილი რომ იქნას მეცნიერების სტაბილური განვითარება; საჭირო, მივაღწიოთ სამეცნიერო დაწესებულებების რეალურ ავტონომიურობას და აკადემიურ თავისუფლებას.

შესაძლებლად გვესახება მთავრობასთან საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომლის უმთავრესი ამოცანა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა იქნება.

მაშინ, როცა სამეცნიერო საქმიანობა ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიოში, საქართველოს სამეცნიერო შრომების ზრდის ტემპი ჩამორჩება საშუალოს. ეს გასათვალისწინებელია.

არსებითია მეცნიერების დაფინანსება. ევროკავშირის ქვეყნებისთვის დაფინანსების სასურველ დონედ სამეცნიერო საქმიანობის მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ით განისაზღვრა. საქართველოში ეს ციფრი შედარებით მცირეა. ფაქტია, რომ გოლო წლებში არ განახლებულა სამეცნიერო ინფრასტრუქტურა. კვლევებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური გაზა მოძველებულია და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ახალი პრეზიდენტის საზრუნავი საზღვარგარეთ გადინებული „ქართული ტვინების“ ფონზე

ხელისუფლებასთან ურთიერთობის საფუძველზე უნდა შევეცადოთ, რომ სახელმწიფოსთვის სამეცნიერო სფერო და მისი რეგულირება პრიორიტეტული გახდეს. ამას ხელს შეუწყობს კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის გააქტიურება, ეფექტურობის გაზრდა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერული კვლევებისათვის საჭირო ასიგნებების გამოყოფას. მაღალი ხარისხის სამეცნიერო შრომების სათანადოდ დაუფინანსებლობა გამოიწვევს მკვლევართა დემოტივიზაციას; ასევე – პოტენციურ ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერულ გადაწყვეტილებებზე ნეგატიურად იმოქმედებს. ეს კი შესაბამისად აისახება ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალზე.

მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს აკადემიის საპრემიო სისტემა. შესაძლოა გამოინახოს სახსრები და პრემირება მეცნიერების ძირითად დარგებში ყოველწლიური გახდეს.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ კანონში მეცნიერების განვითარების პოლიტიკა მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული. ამავე კანონის მიხედვით, მეცნიერების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების დადგენა და მათი განვითარების ხელშეწყობა. ამოცანად ვთვლით, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად გადავხედოთ არსებულ პრიორიტეტებს და შევეცადოთ მათ დახვეწას, რათა კვლევის შედეგები ქვეყნის სამსახურში ჩადგეს რეალურად. აუცილებელია არსებობდეს სამეცნიერო სფეროს განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება მართვის მიმართულებები, რომლებიც პასუხობენ ქვეყნის განვითარების გამოწვევებს, ზრდიან ეროვნულ კეთილდღეობას და ხელს უწყობენ ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამოუკიდებელი კვლევებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით ითვალისწინებს საქართველოში სამეცნიერო სფეროს მართვის სისტემის რესტრუქტურიზაციას. მიგვაჩნია, რომ საჭიროა მეცნიერებათა აკადემიამ აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ამ პროგრამაში (ე.წ. ევროკომისიის ჩარჩო-პროგრამა).

გულწრფელად ვიტყვი, არ მეგულება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არც ერთი წევრი, არც ერთი წევრ-კორესპონდენტი, რომელსაც კარგად არ ჰქონდეს გაცნობერებული მეცნიერების ამ ეროვნული ცენტრის უსაზღვრო მნიშვნელობა. დღეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მთელი შემადგენლობით მეცნიერების სამსახურშია და შესაბამისად ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ დავიცვათ და შეულახავად ვატაროთ აკადემიის ღირსება, რომლითაც იგია აღჭურვილი. თავის მხრივ აკადემიამ უნდა იზრუნოს თავისი წევრების ღირსებაზე.

ცხადია, ჩვენი საქმიანობა არ არის უნაკლო. ამიტომაა საჭირო მრავალმხრივი მონდომება, დიდი შრომა, მეცნიერულთან ერთად მაღალი მოქალაქეობრივი სახის შენარჩუნება. მიმაჩნია, რომ ერთობლივი მიზანსწრაფვით შევეცდებით ნაკლოვანებათა გამოსწორებასა და ქართული მეცნიერების ფლაგმანის როლის მაღალ დონეზე ტარებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აკადემიის ახალი წევრებით შევსებას. უნდა შევეცადოთ, რომ აკადემიაში მოვიდნენ მაღალი დონის მეცნიერები, ამასთან პიროვნებები, რომლებიც მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებით, კეთილსინდისიერებით და ქვეყნის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი.

აკადემიის ხელმძღვანელობამ დააყენა აკადემიის სისტემაში სადოქტორო დისერტაციის დაცვის საკითხი. მოგეხსენებათ, რომ ახლანდელი აკადემიური დოქტორობა არ არის სამეცნიერო ხარისხი. უკვე ათ წელზე მეტია, ჩვენში რეალური სამეცნიერო ხარისხის დაცვები აღარ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ მალე აკადემიას შეიძლება შეექმნას სამეცნიერო კადრებით შევსების პრობლემა. კომენტარს აღარ გავაგრძელებ, მოგახსენებთ, რომ საკითხის დასმით შევეცდებით მის დადებითად გადაჭრას. ცხადია, ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების მონაწილეობას აკადემიის არჩევნებში. უგრალოდ ყურადღებას ვამახვილებთ ხარისხზე.

შექმნილ ვითარებაში შესაძლებელია მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურ პროფესიულ დარგობრივ კომისიებში, ამ უკანასკნელთა შემადგენლობის დახვეწის შემდეგ მოხდეს აკადემიური ხარისხის მინიჭება.

არსებული კანონის საფუძველზე ჩვენ შევაჩერეთ წევრ-კორესპონდენტების არჩევნები. ეს სტატუსი მილევადი გახდა. შემოვიღეთ სტიპენდიატის სისტემა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ ნაბიჯმა არ გაამართლა. საკითხი დასმულია და ვფიქრობთ მივაღწევთ წევრ-კორესპონდენტის სტატუსის აღდგენას.

მიგვაჩნია, რომ დარგობრივ განყოფილებებთან არსებული კომისიები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. საჭიროა, ამ კომისიების საქმიანობის გააქტიურება. სწორედ მათი გაწეული შრომის შედეგად, კანონით გათვალისწინებული დებულება აკადემიისადმი ყველა მეცნიერული ჯგუფის ანგარიშვალდებულების შესახებ, ქვეყნის მეცნიერულ წრეებთან ურთიერთობის რეალურ ბერკეტად უნდა იქცეს. ამ საქმეში უნდა გააქტიურდეს დარგობრივი განყოფილებები. უნდა გაიზარდოს როგორც აკადემიის განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნების, ისე განყოფილებათა სწავლული მდივნების როლი.

* * *

გოლო წლებში მნიშვნელოვნად იმატა უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ თანამემამულეთა რაოდენობამ და, დღეისათვის, ეს მაჩვენებელი თითქმის 300 კვალიფიციურ მეცნიერს ითვლის. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათი რიცხვი 80-ია, გერმანიაში – 36, დიდ ბრიტანეთში – 14 და, ვვარაუდობთ, რომ წლიდან წლამდე ეს მონაცემები, მსოფლიო მასშტაბით, პერმანენტულად კიდევ უფრო გაიზრდება.

უცხოეთში ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობის მზარდი დინამიკა უწინარეს ყოვლისა იმ გარემოებით აიხსნება, რომ უცხოეთის სამეცნიერო ცენტრების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ბევრად აღემატება საქართველოს შესაძლებლობებს. რეალურად, ჩვენ კიდევ ათეული წლები გვჭირდება, რომ მთელ რიგ სამეცნიერო დარგებში მივუახლოვდეთ უცხოეთის მოწინავე სამეცნიერო ცენტრების ტექნიკური აღჭურვილობის დღევანდელ დონეს. მოგეხსენებათ, ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩასატარებლად საბუნებისმეტყველო, ინჟინერიის, ტექნოლოგიების, მედიცინისა და სხვა ზუსტი მეცნიერებების დარგებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერები სიამოვნებით თანხმდებიან ითანამშრომლონ იმ ცენტრებში, სადაც მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად საუკეთესო პირობებია. ამის საილუსტრაციოდ საქვეყნოდ ცნობილი „ცერნის“ მაგალითიც იკმარებს, სადაც 35-ზე მეტი ქართველი მეცნიერია დასაქმებული.

ამასთან, გასათვალისწინებულია ისიც, რომ დღეისათვის, ასევე დინამიურად იზრდება საქართველოდან უცხოეთში სასწავლებლად წასულ მაგისტრანტთა და დოქტორანტთა რიცხვი, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია. სავარაუდოა, რომ მათგან ყველაზე გამორჩეულნი ეცდებიან სამეცნიერო მოღვაწეობა უცხოეთში გააგრძელონ, რაც კიდევ უფრო გაზრდის უცხოეთის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში დასაქმებულ ჩვენს თანამემამულეთა რაოდენობას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს უცხოეთის ქვეყნებში მოღვაწე თანამემამულე მეცნიერებთან და სპეციალისტებთან. მათთან მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობების დამყარება, მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით სტანდარტებთან დაახლოება დიდ სტიმულს მისცემს ორივე მხარეს და, ამასთან, სერიოზულად შეუწყობს ხელს ჩვენი თანამემამულე მეცნიერებისა და სპეციალისტების საქართველოს კვლევისა და ექსპერტიზის სივრცეში ადაპტირებას, ორმხრივად ნაყოფიერი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. არ არის შემთხვევითი, რომ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გადადგა პირველი ნაბიჯები და ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების თანადგომით იქმნება „სწავლულ ექსპერტთა რეესტრი“, რომელიც დიდ პერსპექტივებს გვისახავს, როგორც საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან, ისე საქართველოსთან მჭიდრო კოლაბორაციაში მყოფ უცხოელ მეცნიერებთან ინსტიტუციური თანამშრომლობისთვის. ჩვენ შევეცდებით, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ვფიქრობთ, საჭიროა კონტაქტის გაზრდა საქართველოს რეგიონებთან. ბევრის გაკეთება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის განყოფილებას, ტექნოლოგიების განყოფილებას, ფიზიოლოგიისა და ეკონომიკის მიმართულებას, სხვა მეცნიერებს. რეგიონებთან ნორმალური აქტიური ურთიერთობის შემთხვევაში აკადემიას გარკვეული სარგებლის მიღება შეუძლია. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის განყოფილებას. ამ რეგიონში სერიოზული სამეცნიერო სამუშაო ტარდება, ღირსეული მეცნიერები გვყავს. მათი უგულებელყოფა არ შეიძლება.

მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ირაკლი აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის რედაქციის საქმიანობას. სწორად შევაფასოთ და დავაფასოთ ის დიდი შრომა, რომელსაც საკმაოდ რთულ პირობებში ეწევიან ჩვენი ენციკლოპედისტები. ენციკლოპედია ერის სახეა და მისი წარმატებული საქმიანობა აკადემიისთვის სიკეთის მომტანია.

კეთილი და სერიოზული შრომა მიმდინარეობს შოთა რუსთაველის „ვეფისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენისა და მაღალი დონის „თესაურუსის“ შექმნისათვის. აკადემიის განყოფილებებმა თავისი საქმიანობის დღის წესრიგში გამუდმებით უნდა იქონიონ ამ ორი ქვეყნისთვის მეტად საჭირო ერთეულის საქმიანობა, იზრუნონ მათი წარმატებებისთვის.

სერიოზულია აკადემიის მოცულობით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი გამომცემლობის, სტამბის საქმიანობა. სარედაქციო საბჭოს ამოცანაა გაუმჯობესდეს ეს მუშაობა, გამომცემლობის პროდუქცია პირდაპირ შეესაბამებოდეს მეცნიერთა ინტერესებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლად მიმაჩნია გამომცემლობამ თავს იდოს ე.წ. პრეპრინტების გამოცემა, სადაც მოკლე ფორმატში ოპერატიულად აისახება ახალი აღმოჩენები, თუ სამეცნიერო სიახლეები.

კვლავ უნდა გაგრძელდეს „მოამბის“ (ინგლისურ ენაზე) გამოცემა, თანაც აუცილებელია მეცნიერების დარგები წარმოჩენილი იყოს საჭირო პროპორციით. უნდა გაგრძელდეს „მაცნეს“ სხვადასხვა მიმართულების გამოცემები, ყოველივე ეს ჩვენს მეცნიერებს თავისი მასალის გამომზეურების საშუალებას აძლევს.

გარკვეული მიზეზების გამო (მხედველობაში გვაქვს მძიმე ეპიდემია, რომელიც ქვეყანაში ორ წელზე მეტ ხანს მძვინვარებდა) ერთგვარად შემცირდა საერთაშორისო კონტაქტები. არადა, მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებთან – აკადემიებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია. **ჯერ ერთი**, საჭიროა მსოფლიო მასშტაბის მეცნიერული მოვლენების საქმის კურსში ყოფნა, **მეორე**, სასურველიცაა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის ბევრი წევრი არის მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების შემადგენლობაში. სწორედ მათი მეოხებით, აგრეთვე ჩვენი საქმიანობის გააქტიურებით (მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, ერთობლივ თემატიკაზე მუშაობა და სხვ.). ეს ურთიერთობები უნდა გაუმჯობესდეს. საჭიროა გავააქტიუროთ მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრებთან. შეიძლება გამოინახოს სამივლინებო საშუალებები და აკადემიის წევრთა მობილურობა გავაუმჯობესოთ. ყოველივე ეს აკადემიური საქმიანობის წინსვლას შეუწყობს ხელს.

მინდა აღვნიშნო, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აპარატი დაკომპლექტებულია საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის, საქმის მცოდნე პირებით. ალბათ კარგი იქნებოდა, სტრუქტურის ზოგიერთი დეტალის გაუმჯობესება, აკადემიის საქმიანობის დახვეწის მიზნით დარგობრივი განყოფილებები უნდა გახდეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან რეალური აქტიური კავშირის შემოქმედი. არ უნდა დაგვრჩეს ქვეყანაში არსებული არც ერთი სამეცნიერო უჯრედი ყურადღების გარეშე. მეცნიერებაში არსებული მდგომარეობა შესაბამის განყოფილებებში უნდა გაანალიზდეს და შემდეგ საჭირო შემთხვევაში დაისვას საკითხი მასზე რეაგირების შესახებ. შევეცადოთ, რომ ამაღლდეს დარგობრივი პროფესიული კომისიების როლი. ამ გზით ჩვენ შეგვიძლია წარმატებით შევასრულოთ სახელმწიფო კანონით მინიჭებული ხელისუფლების მრჩევლის როლი.

მიგვაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ქვეყანაში, ზოგადად მეცნიერებაში მიმდინარე პროცესებს. ყურადღების გარეშე არ დარჩეს სიახლეები, აღმოჩენები; ასევე ის ზოგჯერ სამწუხარო შემთხვევები (ვთქვათ „ისტორიის გაყალბება“, პლაგიატის შემთხვევები და სხვ.), რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს.

აღვნიშნავ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მემორანდუმები აქვს დადებული სხვადასხვა მნიშვნელოვან დაწესებულებებთან: უნივერსიტეტებთან, ტელეარხებთან, საწარმოებთან. სამწუხაროდ, ვერ შევძელით მემორანდუმების შესაბამისი ურთიერთობა, ვერ ვიყენებთ იმ დიდ პოტენციალს, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს, სხვა დიდ დაწესებულებას გააჩნია. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი სერიოზულად უნდა გადაიხედოს, რათა ჩვენი ურთიერთობები მემორანდუმებში გათვალისწინებულ ობიექტებთან საქმიანი გახდეს და ამასთან გარკვეული სარგებელი აკადემიამაც მიიღოს.

მიგვაჩნია, რომ კარდინალურად უნდა გარდაქმნას საქმიანობა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ. ამ რგოლის მოღვაწეობას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს აკადემიის ხელმძღვანელობამ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო მცდელობა, შეგვექმნა გარდაცვლილ აკადემიის წევრთა ოჯახების დახმარების ფონდი. გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა. სამწუხაროდ, ფონდი ვერ შევქმენით. ვფიქრობთ, შესაძლოა საკითხს კიდევ დავუბრუნდეთ და შევეცადოთ გამოვნახოთ საშუალებები ამგვარი რგოლის შესაქმნელად. მისი საჭიროების მტკიცება ზედმეტად მიმაჩნია.

ჩვენი აკადემია ტრადიციული დაწესებულებაა, რომელსაც ღირსება სახელოვანმა მეცნიერებმა – აკადემიის წევრებმა და წევრ-კორესპონდენტებმა მოუტანეს. ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ არც ერთი წევრი აკადემიისა, არ დავივიწყოთ არც ერთი ჩვენი წინაპარი. ყოველმხრივ შევეცადოთ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, რომ მათი სახელები არ წაიშალოს. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ჩვენ აღვნიშნავთ აკადემიის წევრების, ე.წ. „მრგვალ თარიღებს“. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთებმა საქილიკო სიტყვაც გაგვაგონეს. ჩვენ კვლავ უნდა გავაგრძელოთ ამ ღირსეულ პირთა იუბილეების აღნიშვნა. ამასთან, მინდა ვთქვა, რომ არ ვაჭარბებთ მხოლოდ ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფიის აღნუსხვას. ამ ღონისიძებებში ჩადებულია მთელი დარგის წარმოჩენა, რომელსაც ესა თუ ის მეცნიერი წარმოადგენდა. ვაჩვენებთ იმ მიღწევებს თუ ნაკლოვანებებს, რომელიც დარგს გააჩნია და საკითხები დგება მომავლის პრობლემებზე.

მინდა შეგახსენოთ ჩვენი დიდი პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლის ერთი ამონარიდი: „საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყანა მტერთა შემოსევებს იგერიებდა და მშვიდობა მუდამ სანუკვარი გვქონდა. დღესაც ქვეყანა უმძიმეს პერიოდს გადის და, ძალისამებრ ჩვენისა გვმართებს, ვიზრუნოთ ჩვენი მშვიდობიანი ხვალინდელი დღისათვის, ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის“.

ვფიქრობ, პატრიარქის ეს შეგონება – ზრუნვა მშვიდობიანი ხვალინდელი დღისათვის და ზრუნვა ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისკენ – პირდაპირ მოწოდებაა ქართველი საზოგადოებისადმი, რომლის ერთ-ერთი ზეპური წარმომადგენელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართველი აკადემიკოსები, მეცნიერები. მიმაჩნია, რომ სწორედ ქართველმა მეცნიერებმა, აკადემიის წევრებმა უნდა წარმოაჩინონ ქვეყნის ერთგულება, მისდამი პატივისცემა. საჭიროა თვით მეცნიერებაში იყოს ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა, არსებითია ჩვენი თანამოაზრება ძირითად ეროვნულ საკითხებში, ურთიერთთანადგომა. მხოლოდ ერთიანობით და ურთიერთსიყვარულით შეგვიძლია წარმატებების მიღწევა.

ბატონებო!

აუცილებლად მიმაჩნია მადლობა ვუთხრა აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს ათი წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად ზეობის დროს გაწეული მნიშვნელოვანი შრომისათვის.

მოგახსენებთ, რომ თქვენი მონა-მორჩილი 35 წელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრია; 1988 წლიდან საზოგადოებრივ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანია; ბოლო ათი წლის მანძილზე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზეა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ აკადემია ჩემთვის ორგანულია, უფრო სწორად, მე ვარ მისი ორგანული ნაწილი, ჩემი ოჯახია. კარგად ვიცი მისი ამოცანები, საქმიანობა, აკადემიის ყველა წევრის მიმართ, ხაზს ვუსვამ ყველა წევრის მიმართ, დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი და კეთილი დამოკიდებულება გამაჩნია.

ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი, ანუ აკადემიის ყველა წევრის ერთობლივი საქმიანობით, საერთო პრობლემების ღრმად გააზრებით, ურთიერთპატივისცემით, ერთმანეთის თანამოაზრეობით, რომელსაც საფუძვლად ქვეყნის სიყვარული და მისი სიკეთისათვის სწრაფვა ექნება საფანლად, ჩვენ შევძლებთ ზოგადად ქართული მეცნიერების და კერძოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღირსების მაღალ დონეზე დაცვას და მივაღწევთ წარმატებას.

7 ივნისი, 2023 წ.

ვულოცავთ!

აკადემიკოს

როინ მეტრეველს

ბატონო როინ!

გულწრფელად გილოცავთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევას. ამ მოვლენას კმაყოფილებით ხვდება სრულიად საქართველო. თქვენმა უდიდესმა წვლილმა ეროვნული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო განათლების განვითარებაში, გონივრულმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობამ დამსახურებულად დაგიმკვიდრათ საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის სახელი.

გისურვებთ ახალ შემოქმედებით მიღწევებს და დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს.

რომან შენგელია,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი

— — — — — — — — — — — — —

ბონდო ჯიქია, რაულ ჩილაჩავა, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, დემურ გადელია, მამუკა ადამია, ოთარ ჭითანავა, **გულითა და სულით ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, ცნობილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ**

როინ მეტრეველს

საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევას, ვუსურვებთ, კვლავაც დიდხანს ეღვაწოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მთავრობამ მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს და ავტოსადგურები მალე მოანესრიგოს!

ავტოსადგურების რეფორმისთვის მზადება უკვე დასკვნით ეტაპზეა. ვარაუდობენ, რომ კანონი საშემოდგომო სესიაზე მიღებული იქნება. რეფორმა, რომელიც თვეების განმავლობაში მუშავდებოდა ეკონომიკის სამინისტროში და შემდგომში განიხილებოდა მთავრობის ეკონომიკურ გუნდში, ეტაპობრივად განხორციელდება და 2025 წლის მაისისთვის მთლიანად დასრულდება, თუმცე ესეც მხოლოდ წინასწარი ვარაუდია. შესაძლოა, ვადამ კიდევ გადაიწიოს, როგორც საქართველოში ხშირად ხდება ხოლმე.

„დღეს ქვეყანაში არსებობს უამრავი ავტოსადგური, რომლებიც არანაირ წესებში არ არის მოქცეული, ამიტომაც ხარისხი არის ძალიან დაბალი. ეს აისახება ჩვენი ქვეყნის ვიზუალზეც, ასევე ტურიზმის სექტორზე და, რა თქმა უნდა, ყველაზე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჩვენს მოქალაქეებს არც ისე კომფორტულ პირობებში უწევთ შიდა საქალაქთაშორისო ტრანსპორტით მგზავრობა. შესაბამისად, კანონპროექტის მიხედვით, კონკრეტული მოთხოვნები იქნება ასეთი ავტოსადგურების მიმართ, რომლის საფუძველზეც სამი ტიპის – პირველი, მე-2 და მე-3 კლასის ავტოსადგურები განისაზღვრება“, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

როგორც ლევან დავითაშვილმა განმარტა, ავტოსადგურების კლასიფიცირება მოხდება მუნიციპალიტეტების მიხედვით – დიდ ქალაქებში იქნება პირველი კლასის ავტოსადგურები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა, ასევე, ძალიან პატარა მუნიციპალურ ცენტრებში იქნება შედარებით მცირე მოთხოვნების, მაგრამ თანამედროვე ვიზუალის, ყველა მინიმალური კომფორტის და უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით მოწყობილი ავტოსადგურები.

„მნიშვნელოვანია, რომ ავტოსადგურები დაექვემდებარება სერტიფიცირებას, რომლის ჩატარების წესი განისაზღვრება მთავრობის მიერ. თითოეული მუნიციპალიტეტი თავის ტერიტორიაზე განსაზღვრავს ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობას და მუნიციპალიტეტებსაც თავიანთი უფლებამოსილებები განესაზღვრებათ“, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ეკონომიკის მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელოვან შედეგებს, რომელსაც ქვეყანა მიიღებს რეფორმის შედეგად.

„ვფიქრობ, რომ ჩვენ მივიღებთ ორ ძირითად შედეგს: ავტოსადგურები იქნება მოწესრიგებული საერთაშორისო, თანამედროვე, ცივილიზებული პრინციპების შესაბამისად და მოექცევა სტანდარტებში, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებები და გადამზიდავი კომპანიები სანებართვო წესებს დაექვემდებარებიან, რომ მათაც უნდა დააკმაყოფილონ მინიმალური სტანდარტები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მგზავრების სისტემა იქნება გამჭვირვალე და ელექტრონული“...

სხვათა შორის, რაზეც დღეს მთავრობაში საუბრობენ, ნაწილობრივ ავტოსადგურებს დღესაც ევალებათ. სწორედ ამაზე საუბრობენ სპეციალისტები. საქართველოს ავტომობილების ტექინსპექტირების ასოციაციის პრეზიდენტი **დავით მესხიშვილი** აცხადებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით ავტოსადგურებს აქამდეც ევალებოდათ შესაბამისობაში მოეყვანათ მათ მფლობელობაში არსებული ავტოსადგურები, მაგრამ ეს არ კეთდებოდა. მთავარი პრობლემა კი კანონის აღსრულებაშია.

„ეს არის სფერო, რომელსაც არანაირი რეფორმა არ შეხებია, ჩარჩენილი არის 90-იან წლებში და პრაქტიკულად უკონტროლოა, ეს ეხება უსაფრთხოების ნაწილს რაც ძალიან საგანგაშოა.

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ავტობუსების და მიკროავტობუსების 70%-ს, რომლებსაც მგზავრები გადაჰყავს, საერთოდ არ გადიან ტექინსპექტირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის ტექნიკურად გაუმართავი, კუსტარულად გადაკეთებულია და საშიშია მგზავრებისთვის.

მოქმედი კანონმდებლობითაც ავტოსადგურებს ევალებოდათ მოეწესრიგებინათ ეს ყველაფერი, უფრო მეტად ვიდრე დღეს არის და შესაბამისობაში მოეყვანათ მათ მფლობელობაში არსებული ავტოსადგურები, მაგრამ არსად არაფერი კეთდებოდა. ამას ჰქონდა მეტი ახსნა, მთავარი მიზეზებიდან იყო ის, რომ მაკონტროლებელ ორგანოს, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს რომ შეემოწმებინა ავტოსადგურების გამართულობა, ამისთვის უნდა აეღო ნებართვა სასამართლოში, სასამართლო კი ნებართვას მოგცემდა თუ არა, ეს ცალკე თემაა. შესაბამისად, ვერ ხდებოდა შემოწმება. ეს მარიერი ჩაიხსნება და არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო მეტად გვექნება საშუალება თუნდაც სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მოვთხოვოთ რეაგირება დარღვევებზე, ვიდრე დღეს გვაქვს.

ფაქტია რომ, დღესდღეობით მთავარი პრობლემა არის კანონის აღსრულებაში. წარმოიდგინეთ დღეს არსებობენ ისეთი მძღოლები, რომლებსაც შესაბამისი მართვის მოწმობაც კი არ აქვთ. რეფორმის პროცესი უნდა იყოს ღია და ჩართული უნდა იყოს ყველა მხარე. მეორეს მხრივ უნდა მოხდეს კანონის აღსრულება ყველა მიმართულებით“, – განმარტა დავით მესხიშვილმა.

ეკონომიკის სამინისტრო ავტოსადგურების ლიცენზირების შესახებ კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანოში უახლოეს პერიოდში გადააგზავნის. სამინისტროში მოლოდინი აქვთ, რომ კანონი საშემოდგომო სესიაზე მიღებული იქნება.

ბექა დანელია



სამგორის რაიონი 50 წლისაა!

თბილისის მერი კახა კალაძე სამგორის რაიონის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს. კახა კალაძემ შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და სამგორის რაიონის დაარსებიდან 50 წლისთავი მიულოცა.

„სამგორი ზეიმობს დაარსებიდან 50 წლისთავს. ერთ-ერთი ახალგაზრდა რაიონია ჩვენს უძველეს, ულამაზეს დედაქალაქში. გილოცავთ დღევანდელ დღეს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და იმ ახალგაზრდებს, ვისი ინიციატივითაც და უშუალო ჩართულობით შედგა დღევანდელი საღამო, მადლობა გადავუხადო“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა. ღონისძიების კონცეფციის განხორციელებაში, რომელიც ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით შემუშავდა, რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო და არაკომერციული ორგანიზაციები იყვნენ ჩართულნი.

საიუბილეო ღონისძიება საბავშვო-გასართობ, სპორტულ და კულტურულ აქტივობებს მოიცავდა. გამოიფინა სამგორის განვითარების ამსახველი ისტორიული ფოტომასალა. მოეწყო პროფესიული და სასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებების საგამოფენო სივრცეები, აგრეთვე გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. ფესტივალი მუსიკალური პროგრამით დაიხურა.

მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე მოგზაურობა ღამითაც შესაძლებელია

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე მოწყობილი ღამის 33 განათებები დაათვალიერა. მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულები ზვიად შალამბერიძე და გიორგი გუგუჩია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილი.

პირველად საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე მოგზაურობა ღამის საათებშიც ხდება შესაძლებელი. ეკომეგობრული, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი 3D განათების სისტემა, ზიანს არ აყენებს გარემოს და, ამავდროულად, მოგზაურობას კიდევ უფრო სანახაობრივს ხდის. კარგია რომ დღეიდან მომდევნო 1 კვირის განმავლობაში, მარტვილის მუნიციპალიტეტის მკვიდრი მოსახლეობა მარტვილის კანიონზე, ხოლო ხონის მუნიციპალიტეტის მკვიდრი მოსახლეობა ოკაცეს ჩანჩქერზე უფასოდ შეძლებს იმოგზაუროს 3D განათების ფონზე.

ახალი, თანამედროვე ავტობუსები ოზურგეთში

ამის შესახებ ოზურგეთის მერი, ავთანდილ თალაკვაძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, გაფორმდა ხელშეკრულება და პირველ ეტაპზე 8 ერთეული ISUZU-ს მარკის ავტობუსის შესყიდვა მოხდება.

„ხელშეკრულება გავაფორმეთ - ოზურგეთს ახალი, თანამედროვე ავტობუსები ექნება! სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით ვიწყებთ რეფორმის გატარებას და პირველ ეტაპზე შევისყიდით 8 ერთეულ ISUZU-ს მარკის ავტობუსს. ასევე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაიგეგმება მარშრუტები და მოეწყობა გაჩერებები. შემდეგი წლიდან, მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოქალაქეებისთვის კომფორტული და უსაფრთხო იქნება.

ამით შევასრულებთ წინასაარჩევნოდ, თანამოქალაქეებისთვის მიცემულ კიდევ ერთ პირობას: თანამედროვე ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება – ჩვენი 8-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახლდათ.

ოზურგეთის სახელით, მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთავრობას ჩვენი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისთვის,“ – აღნიშნავს ოზურგეთის მერი.

ქუთაისის აეროპორტი კიდევ უფრო უსაფრთხო გახდა

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში პერიმეტრული ღობის განათების სამუშაოები დასრულდა, – ამის შესახებ ინფორმაციას აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს. მათივე ცნობით, განხორციელებულმა ინვესტიციამ 812,673.03 ლარი შეადგინა.

რა უნდა ერქვას საქართველოს?

„გრუზია“ თუ „საქართველო“?

რამდენიმე დღის წინ უკრაინის რადაში კანონ-პროექტი დაარეგისტრირეს. უკრაინელი დეპუტატები ითხოვენ, საქართველოს უკრაინულადაც საქართველო ეწოდოს და არა „გრუზია“. ამის გამო ხელახლა დაიწყო დისკუსია, მაინც რა უნდა ერქვას საქართველოს უცხო ენებზე და უნდა ჩაერიოს თუ არა პროცესში თბილისი.

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, უკრაინელები ცდილობენ, რუსული ან რუსეთისგან თავსმოხვეული ტოპონიმებისგან გათავისუფლდნენ. მორიგი მცდელობა სწორედ ეს კანონპროექტია. თუ დამტკიცდა, საქართველოს უკრაინულადაც საქართველოს დაუძახებენ, გრუზინებს კი – ქართველებს.

პროცესი ცალმხრივი არ არის. რამდენიმე თვის წინ საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაამტკიცა ტერმინების უკრაინული ენიდან ქართულად გადმოღების (ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციაძ წესები. ახლა უკრაინული ქალაქები, ადგილები, გვარები ითარგმნება პირდაპირ უკრაინულიდან და არა რუსულიდან, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

პირველი ქვეყანა, რომელმაც პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელწოდება „გრუზიაზე“ უარი თქვა და საქართველოს Sakartvelo უწოდა, ლიეტუვა იყო.

ეს გადაწყვეტილება ლიეტუვამ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლისთავისთვის მიიღო. ლიეტუვამ ასევე მოითხოვა, ქართველებსაც მათი ქვეყნის ავთენტიკური სახელწოდება გამოიყენონ. ასეც მოხდა, 2018 წლიდან ოფიციალურ სტრუქტურებსა და მასმედიაში „ლიტვა“ „ლიეტუვამ“ ჩაანაცვლა.

საქართველოს „საგარეო“ სახელი

არაფერია უჩვეულო იმაში, რომ სახელმწიფოს თავის და სხვა ენებზე სხვადასხვა სახელი ჰქვია. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას იგივე ისტორია აქვს.

ხანდახან სახელში მხოლოდ ერთი ან ორი ბგერა იცვლება, მაგალითად, „ინგლანდ“ და „ინგლისი“, ხანდახან – მთლიანად დასახელება, მაგალითად, „ჰაიასტანი“ და „სომხეთი“.

„აი, სულ რამდენიმე დღის წინ განვიხილეთ კოლუმბიის მთავრობის წერილი და გადაწყდა, რომ ქართულად „კოლუმბიის“ ნაცვლად „კოლომბიას“ გამოვიყენებთ“, – ამბობს **მარინე ბერიძე,** სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. მისივე განმარტებით, ტენდენცია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „გრუზიის“ გამოყენება აღარ უნდათ, გასაგებია, მაგრამ ეს საყოველთაო მოვლენა ვერ გახდება, **– „თითოეული ქვეყანა თავისი ისტორიისა და ტრადიციის მიხედვით ანიჭებს უპირატესობას ამა თუ იმ სახელწოდებას. ჩვენ ვერავინ გვაიძულებს, რომ მაგალითად, რუსეთს „რასია“ დავუძახოთ“.**

რას ნიშნავს „გრუზია“?

რუსული ტერმინი „გრუზია“, რომელიც ძირითადად საბჭოთა კავშირის ქვეყნებშია დამკვიდრებული, სინამდვილეში აღმოსავლური „გურჯიდან“ მოდის. ძირითადად საქართველოს ამ სამი სახელწოდებით იცნობენ: „გურჯისტანი“, „გრუზია“ და „გეორგია“, იგივე „ჯორჯია“.

კავკასიოლოგი **მერაბ ჩუხუა** ამბობს, რომ ზოგი მეცნიერის აზრით, „გურჯის“ ძირიც არის სიტყვა „გეორგოს“, თუმცა:

„მეორე თვალსაზრისით, რომელიც მე უფრო სწორი მგონია, ეს არის ძველებრაული „გორდ“, რომელიც „ქარდუხის“, „ქარდის“ შესატყვისია.

დროთა განმავლობაში ამ სიტყვის ბევრი სახესხვაობა გაჩნდა. დღეს კავკასიის ხალხებში ქართველის აღმნიშვნელად გავრცელებულია „გურჯი“, მათ შორის ოსურად – „გურზი“.

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ისტორიული სახელწოდებაა შენარჩუნებული, მაგალითად, ჩერქეზებში არის „ქურცი“, ვფიქრობ, ეს „ხუცს“ უკავშირდება, ხუცური, ხურციძე, ხურცილავა...

ყაბარდოულში არის სიტყვა „მერეთუა“, რაც ნიშნავს იმერეთს, იმერელს. ჩეჩნურსა და ინგუშურში არის „კახპიე“ – კახეთელი. ამ შემთხვევაში საქართველო კახეთთან არის გაიგივებული. ინგუშებს აქვთ ასეთი სიტყვაც „კეიგურუი“, რომელიც სიტყვასიტყვით „თეთრ ქართველს“ ნიშნავს. ამ ტერმინით ისინი მეგრელებს მოიხსენიებენ“, – ამბობს მერაბ ჩუხუა.

ჰერალდიკოსი **მამუკა გონგაძე** ამბობს, რომ უკრაინელებისა და ლიეტუველების გადაწყვეტილება, საქართველოს სახელი შეუცვალონ, კეთილშობილურ მიზანს ემსახურება, თუმცა მაინც ჯობს ეს ტენდენცია საყოველთაო არ გახდეს და თურქეთივით არ მოვითხოვოთ, ყველამ „საქართველო“ დაგვიძახოს.

იმის გამო, რომ ინგლისურად თურქეთი გამოითქმებოდა როგორც „ინდაური“, თურქეთმა გაეროს მიმართა და მოუწოდა, მისი სახელი სხვა ქვეყნებმა ავთენტიკური გამოთქმით მოიხსენიონ.

„თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ამით ძალიან დიდ ისტორიას დავკარგავთ, რადგან საქართველო შუა საუკუნეებში თუ მანამდეც „გეორგიად“ იწოდებოდა. თან „გეორგიაში“ არა მხოლოდ ქართველები, სხვა ეთნიკური ტომებიც იგულისხმება. ასე ხელოვნურად არ შეიძლება მსგავსი საკითხის გადაწყვეტა. მაშინ ფინეთს „Suom“ უნდა დავარქვათ და უნგრეთს – „Magyarorszag“, – ამბობს მამუკა გონგაძე, – **ვფიქრობ, ჩვენ არავის არაფერი არ უნდა შევთავაზოთ. სახელებს დიდი ხნის ისტორია აქვთ და ყველა ქვეყანამ და ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რას დაგვიძახებს“.**

თეა თოფურია

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

„ჩრდილოეთის ნაკადზე“ დივერსია, სავარაუდოდ, უკრაინელებმა მოაწყვეს...

„უოლ სთრით ჯორნალის“ ცნობით, გერმანელი გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ რუსულ გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადზე“ დივერსიის მოწყობისას ოპერაციულ მაზად პოლონეთი გამოიყენეს.

საქმე ეხება შარშან, სექტემბერში გაზსადენზე მომხდარ დაზიანებას. გამოცემა წერს, რომ გერმანელმა გამომძიებლებმა სრულად დაადგინეს 15-მეტრიანი იახტის, „ანდრომედას“ მარშრუტი, რომელიც, სავარაუდოდ, გამოიყენეს რუსულ გაზსადენზე დივერსიის მოსაწყობად. სტატიაში აღნიშნულია, რომ „ანდრომედას“ სანავიგაციო აღჭურვილობის, თანამგზავრის, მობილური ტელეფონების, ელექტრონული ფოსტის მონაცემებისა და იახტის ბორტზე აღმოჩენილი დეენემის ანალიზების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხომალდი იმყოფებოდა ყველა იმ წერტილში, სადაც მილსადენზე აფეთქებები მოხდა, ხოლო მანამდე – პოლონეთის ტერიტორიულ წყლებში.

ახლა გამომძიებლები ცდილობენ, დაადგინონ, რატომ დაჯავშნეს აღნიშნული იახტა ვარშავაში ბაზირებული ტურისტული სააგენტოს მეშვეობით. ისინი ვარაუდობენ, რომ ეს კომპანია უკრაინული ყალბი ფირმების ქსელში შედიოდა, რომელთაც კავშირი აქვთ უკრაინის დაზვერვასთან. გამოცემა წერს, რომ ახალი ინფორმაცია ამყარებს ეჭვს, რომ „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენზე დივერსია უკრაინელებმა მოაწყვეს. ასევე, გამომძიებლები სწავლობენ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, თავდასხმის მოსაწყობად გამოყენებული იყო პოლონეთის ტერიტორია.

აღსანიშნავია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ რუსულ გაზსადენზე აფეთქებამდე სამი თვით ადრე შეიტყო ევროპელი მოკავშირეებისგან, რომ უკრაინელი მყვინთავი სპეცრაზმელების მცირე ჯგუფი, რომელიც უშუალოდ უკრაინის შეიარაღებული ძალების მეთაურის დაქვემდებარებაში იყო, დივერსიას ამზადებდა.

აღშფოთებული ჯონსონი დეპუტატის თანამდებობას ტოვებს

ბორის ჯონსონი დეპუტატის თანამდებობას მას შემდეგ ტოვებს, რაც თემთა პალატის საკომიტეტო გამოძიება მის მიმართ დევნაში დაადანაშაულა.

ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ის „დაბნეული და შეძრწუნებულია“ მას შემდეგ, რაც მიიღო წერილი კომიტეტისგან, რომელიც იძიებს, მოატყუა თუ არა მან ბრიტანელი კანონმდებლები, რომლებიც იკვლევდნენ „ფართიგეითის“ სკანდალს. საუბარია ჯონსონის მიერ კოვიდპანდემიის დროს წესების შესაძლო დარღვევაზე. მისივე თქმით, წერილმა ნათლად აჩვენა, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ ჯონსონის წინააღმდეგ გამოიყენონ სამართალწარმოება პარლამენტიდან მის გასაძევებლად.

...ვნერ თავისუფალ თემას!“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა კონკურსის „ვწერ თავისუფალ თემას“ დაჯილდოების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, ფინალისტებს მიღწეული წარმატება მიულოცა და პირველ ადგილზე გასული მოსწავლე და მისი მასწავლებელი პირადად დააჯილდოვა.

მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას მადლობა გადაუხადა კონკურსის ინიციატორს, ფილოლოგიის დოქტორს, პროფესორ გია მურღულიას, კონკურსის ორგანიზატორებს და მოსწავლეების წახალისების კუთხით მათთვის საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობების, სხვადასხვა კონკურსისა და მრავალფეროვანი პროექტების განხორციელების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, მსგავსი სახის ინიციატივები და სასწავლო პროცესში არაფორმალური განათლების კომპონენტების გაძლიერება ხელს უწყობს მოზარდებში მრავალმხრივი – წერითი, აზროვნების, სოციალური, შემეცნებითი და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას.

2023 წლის კონკურსის გამარჯვებული მოსწავლეები გახდნენ: I ადგილი – სკოლა „აიმი მთიების“ მოსწავლე ალექსანდრე გუგუნავა. II ადგილი – აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ანი ოსიძე. III ადგილი – ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ კაპანაძე. კონკურსის მონაწილე 32 მოსწავლის მიერ შექმნილი ნაშრომები, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ცალკე კრებულად გამოიცემა.

გზა ხსნილია წარმატებული მოსწავლეებისთვის...

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის მოსწავლეებს უმასპინძლა, რომლებმაც მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ერთობლივი სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულეს. ღონისძიების ფარგლებში პროექტის მონაწილე 25-მდე უფროსკლასელს სერტიფიკატი გადაეცათ.

მათ ასევე ჩაუტარდათ კამპუსის ტური, ახალგაზრდები კიუს საუნივერსიტეტო ქალაქს გაეცნენ. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს შორის თანამშრომლობა 2021 წელს დაიწყო. პარტნიორობა მიზნად ისახავს რეგიონის მოსწავლეებისთვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების პოპულარიზაციას და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას.

საფეხბურთო მოზაიკა

ფუტსალში მუნდიალ – 2024-ის ელიტ-რაუნდის წილისყრამ ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეებად მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი – პორტუგალია, აგრეთვე ფინეთისა და სომხეთის გუნდები დაასახელა.

დასკვნით ეტაპზე პირდაპირ ითამაშებს ჯგუფის გამარჯვებული, 4 საუკეთესო მეორეადგილოსანს კი პლეი-ოფები ელის. მომავალი ბრძოლები შემოდგომაზე მოეწყობა, ხოლო კალენდარი მოგვიანებით დაზუსტდება.

* * *

სულ რამდენიმე დღეა, რაც ლეო მესი ამერიკის მლსის კლუბ მაიამის ინტერში გადავიდა, მისი პირველი შეხვედრის ბილეთების ფასი კი 29-დან 500 დოლარამდე გაიზარდა.

* * *

არგენტინა. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ნახევარფინალი. იტალია – კორეა 2:1, ურუგვაი – ისრაელი 1:0. ამ უკანასკნელმა ტურნირი ბრაზილიას დაატოვებინა, ხოლო მასპინძლები ნიგერიასთან შერცხვნენ.

* * *

ესენი (გერმანია). როსტომ ფარცვანიას გაწვრთნილი საქართველოს მასტერ ლიგის ნაკრები კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორც უნდა დაასრულო ცუდად წარმატებით დაწყებული საქმე . საუბარია მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური რაუნდის სტარტზე ირლანდიასთან (5:1) და შოტლანდიასთან (3:1) მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ მაროკოსთან ნათამაშევ საზედისწერო ფრეზე – 1:1 და მერვედფინალში ხორვატებთან მარცხზე – 0:1, რის გამოც ჩვენი გუნდი ტურნირს ნაადრევად დაემშვიდობა.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მაიამიში გამართული ტრადიციული, ფრიად პრესტიჟული უძრავი ქონების ელიტური კონგრესის ლაურეატი საჯარო ინფრასტრუქტურის ნომინაციაში ბათუმის ახალი სტადიონი გახდა. ორგანიზატორთაგან ოსკარის ტოლფასი პრიზი პირადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ ჩაიბარა.



შეგახსენებთ, რომ სწორედ აჭარაბეთ არენა უმასპინძლებს ევრო – 2023-ის ფინალურ მატჩს 21-წლამდელთა დამდეგ ფორუმზე, რომლის სპონსორიც კოკა კოლა გახლავთ.

* * *

სტამბოლი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი. სიტი – ინტერი 1:0, გოლი: როდრი (68-ე წთ). მსაჯი: მარცინიაკი (პოლონეთი).

როგორც იქნა – გიორგი ქინქლაძის ბოლომდე აუკაშკაშებელი ვარსკვლავური კარიერის ოდისევსი მძაფრ ბრძოლაში, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს კევინ დე ბრუინის ტრავმამ და იძულებითმა ცვლილებამ კიდევ უფრო პრობლემატური გახადა, ოლიმპოზე ავიდა! სიმბოლურია, რომ გენიალური ესპანელი მწვრთნელის მეოთხე ტრიუმფი თანამემამულე როდრის შორეული გასროლით გამოიჭედა, თანაც თურქეთში და 2005 წლის მსგავსად, ისევ იტალიური კლუბის წინააღმდეგ (მაშინ ლივერპულმა 0:3-ის შემდეგ ასევე პირენეელი სპეციალისტის რაფაელ ბენიტესის თავკაცობით მრისხანე მილანთან საოცარი ქამბექით მოიპოვა ტიტული).

აპენინელებზე კი რა შეიძლება ითქვას? – მართალია, ევროსეზონი მათთვის ცალსახად წარმატებული აღმოჩნდა, რადგან სამივე ტურნირის ფინალში გავიდნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, სამივე დამარცხდა.

რაც შეეხება ფეხბურთის სამშობლოს – ისინი განაგრძობენ საერთო მონაგრის მიხედვით ძველ სამყაროში ლიდერობას და კიდევ უფრო დაწინაურდნენ, რადგან 25-ე ჯილდო მოიხვეჭეს, მათ შორის ყველაზე პრესტიჟული – მე-15-დ (ლივერპული – 6, მანჩესტერ იუნაიტედი – 3, ნოტინგემი და ჩელსი – 2-2, ასტონ ვილა და უკვე სიტი – თითო-თითო).

აღსანიშნავი ფაქტია სულ მეორე შემთხვევა, როცა მიზანს ერთი ქალაქის მეორე გუნდი აღწევს – მილანის წყალი ამჯერად მანჩესტერს გადაესხა. და ბოლოს – პეპ გვარდიოლას პირადი შთამბეჭდავი სტატისტიკაც: ბარსელონასთან ერთად 12 წლის წინათ შესრულებული დუბლის შემდეგ, როგორც იქნა, ნავსი გატეხა, მესამედ აისრულა ოცნება და ამ მაჩვენებლით ზინედინ ზიდანს გაუთანაბრდა, უახლოესი ორიენტირი – კარლო ანჩელოტი კი სულ ერთ ნაბიჯშია – იგი კოლეგებს 4 აღმართული თასით მეწინავეობს.

◎ უცხოეთში კი გვაფასებენ, ოღონდ...

შინაური მღვდლისა არ იყოს



ქართული კალათბურთისთვის 2023 წელი ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ, მაგრამ...

უპირველესად, იმ მოვლენის შესახებ, რომელიც სამიოდე თვეში აზიაში მოხდება, სადაც ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში.

სწორედ ჯვაროსნებს უკავშირდება კიდევ ორი საამაყო ფაქტი. კერძოდ, ტენერიფეს ლიდერი **გიორგი შერმადინი** მეორედ მიიჩნიეს ესპანეთის ევროპაში უძლიერესი ლიგა ენდესას სეზონის საუკეთესო მოთამაშედ, ხოლო ილიას ზუროსის გუნდის კაპიტანი **თორნიკე შენგელია** ბოლონიის ვირტუსის მაისურით იტალიის ჩემპიონატის ოქროს მედლისთვის იბრძვის სატიტულო სერიაში მილანის ოლიმპიას წინააღმდეგ.

არასრული ჩამონათვალის ერთგვარ გვირგვინად გვესახება ახლახან გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ყველა პრესტიჟული სანაკრებო რეგალიისა და უამრავი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი **ზურაბ საკანდელიძე** წერილის დასაწყისში ნახსენები ფორუმის დღეებში ფიბას დიდების დარბაზის წევრი გახდება. სხვათა შორის, თანამემამულეთაგან ასეთი პატივი ჯერ არავის რგებია წილად.

და აი, მივადექით იმ სამწუხარო რეალობას, რომლის თაობაზეც პუბლიკაციის შესავალში შეგპირდით, რომ გაგიზიარებდით გულისტკივილს. როგორც მოგეხსენებათ, სულ პლანეტის ორი ჩემპიონი გვყავს და ორივე – ქუთაისის განთქმული საკალათბურთო სკოლის მესაძირკვლის **სულიკო თორთლაძის** მიერ აღზრდილნი: ზურაბ საკანდელიძე და **ნიკოლოზ დერიუგინი.**

ჰოდა, როგორც ამას წინათ ჩვენმა კოლეგამ მერაბ ყუფარაძემ ფორმულას ტელეეთერიდან დაზაფრულმა გვაუწყა, თურმე ამ უკანასკნელს დღემდე აუხდენელ ოცნებად რჩება თავისივე სახელობის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზის აშენება და მომავალი თაობებისათვის უმდიდრესი გამოცდილების გასაზიარებლად ფართის საქირაო თანხის გადახდა საკუთარი ჯიბიდან უწევს. მეტიც – ისიც ითქვა, რომ სამჯერ შესაბამისი თხოვნით მისული, თბილისის მერიაში არ შეუშვიათ(!).

გესმით? – ასე ეპყრობიან სამამულო სპორტის ცოცხალ ლეგენდას, ვისაც ჯერ სასახელო კარიერის განმავლობაში, ხოლო როგორც შევიტყვეთ, ამჟამადაც, რას არ ჰპირდებიან, ოღონდ მათთან გადაბარგდეს, მაგრამ სამშობლოს ვერ ელევა. რაღა უნდა ვთქვათ – სირცხვილია, ბატონებო!

◎ მოვლენის შემდეგ

„ბედნიერებაა, როდესაც ასეთი დიდი ამბის ნაწილი ხარ. ასეთი რამ იშვიათად ხდება. არაფერია იმაზე მაგარი, როდესაც ადამიანთა ჯგუფი ერთ მიზანს დაისახავს, დაიხარჯება და ეს მიზანი შესრულდება. ბედნიერი ვარ არა მხოლოდ ამ ისტორიული გამარჯვებით, არამედ ჩვენი ბიჭების გაბედული, თამამი თამაშით“, – განაცხადა უმცროს ბორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა **ლადო კილასონიამ**

ლადო კილასონია: „ბედნიერებაა, როდესაც ასეთი დიდი ამბის ნაწილი ხარ“

ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრებთან ისტორიული გამარჯვების შემდეგ.

უმცროსი ბორჯღალოსნები 24 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით სამხრეთ აფრიკაში გასამართავი მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მზადების ფარგლებში, ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრები საქართველოს უძლიერესი შემადგენლობით ეწვია. 27 მაისს, პირველ მატჩში, მეტოქემ შეძლო 9-ქულიანი ჩამორჩენის დასკვნით წუთებში აღმოფხვრა და 41:36 გამარჯვება.

მეორე შეხვედრა უფრო სანახაობრივი გამოდგა. სტუმრებმა პირველზე ხარისხიანი თამაში აჩვენეს, თუმცა ჩვენი გუნდი ბევრად უკეთესი იყო და რევანში შედგა – 40:38.

„პირველი თამაშის შემდეგ ძალიან ბევრ კომპონენტში უკეთ გამოვიყურებოდით. ღია თამაშში, დაცვისას, ბევრად უკეთ ვიშლებოდით და ავდიოდით, უკეთესი იყო დისციპლინა რაქებში თამაშისას და შეტევა. ვთვლი, რომ კონტრშეტევებისას ორივე მატჩში ძალიან კარგად გამოვიყურებოდით. ამაყი ვარ ჩვენი ბიჭებით. ისინი ძალიან რთული გამოწვევის წინაშე მაგრად დადგნენ“ – აღნიშნა კილასონიამ.

უმცროსი ბორჯღალოსნები რამდენიმედღიანი დასვენებიდან შეკრებაზე შევიდნენ და მალე სამხრეთ აფრიკაში წამსვლელთა ვინაობა გაირკვევა:

„არჩევანის გაკეთება რთული იქნება. ამ სამ თამაშში (ერთი საფრანგეთთან, ორი ინგლისთან), გუნდის შეთამაშებასთან ერთად ერთ-ერთი მიზანი მორაგბეთა საერთაშორისო გამოცდილების მიღება იყო. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ის ბიჭებიც კი, ვინც სამხრეთ აფრიკაში ვერ წავლენ, ახლა ბევრად უფრო წინ არიან. გარდა ამისა, 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მოკლე პერიოდში გვიწევს 5 შეხვედრის ჩატარება, რაც ტრავმის ალბათობას ზრდის და რეზერვში გამოცდილი, მაღალი დონის მორაგბეები გვეყოლება, რაც დიდი ფუფუნებაა“.

აქვე გაუწყებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულების შემდეგ შედგენილ სეზონის სიმბოლურ ნაკრებში ორი ბორჯღალოსანი შეიყვანეს: შერკინების ბურჯი **ბექა გიგაშვილი** და გარემარბი **დავით ნინიაშვილი.**

თომას ბახი: „სპორტის საერთაშორისო სამყარო IOC-ის რეკომენდაციებს ითვალისწინებს“

ოლიმპიზმი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტის **თომას ბახის** მიერ ზაფხულის ოლიმპიურ საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაციის (ASOIF) გენერალურ ასამბლეაზე გაკეთებული განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს ასპარეზობებზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენების დაშვებაზე IOC-ის რეკომენდაციებს.

„საერთაშორისო საზოგადოების დიდ ნაწილს ესმის, რომ სპორტს რთული დღეები უდგას და მხარს უჭერს ჩვენს შუალედურ მიდგომას. ყოველივე აისახა არა მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დიდი უმრავლესობის, არამედ პოლიტიკურ ლიდერთა ბევრ განცხადებაშიც როგორც გაეროს, ისე სამთავრობათშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. ამის ბოლო მაგალითია იაპონიაში ჩატარებული G7-ის სამიტი.“

G7-ის ქვეყნების ლიდერებმა ხაზი გაუსვეს, რომ პატივს სცემენ სპორტულ ორგანიზაციათა დამოუკიდებლობას, მაგრამ იმავდროულად მომართულები არიან, რომ რუსი თუ ბელარუსი სპორტსმენები შეჯიბრებებზე არ დაიშვან ამ ქვეყნების წარმომადგენლების რანგში.

„ეს არის ჩვენი პოზიცია, რომელიც იცავს სპორტის ავტონომიას, ეს არის ჩვენი პოზიცია, რომელიც აწესებს მკაცრ შეზღუდვებს და საერთაშორისო შეჯიბრებებზე რუსული და ბელარუსული პასპორტის მქონე სპორტსმენებს ნეიტრალური სტატუსის გარანტიას აძლევს,“ – ამბობს თომას ბახი.

როგორც გახსოვთ, IOC-ი საერთაშორისო შეჯიბრებებზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენების ნეიტრალური სტატუსით დაშვების რეკომენდაციით გამოვიდა, ოღონდ მხოლოდ მათი, რომლებსაც უკრაინაში მიმდინარე ომის მხარდამჭერი განცხადება არ გაუკეთებიათ და არც რაიმე კავშირში არიან შეიარაღებულ ძალებთან თუ სამსახურებთან. ასევე რუსი და ბელარუსი სპორტსმენები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი გუნდურ სახეობებში.



2024 წლისთვის მოსახლეობის აღწერა დაიწყო

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 5 ივნისიდან მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში საცხოვრისების შემოვლა და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება დაიწყო.

საქსტატის ცნობით, პირველი ეტაპის სამუშაოები აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული შენობებისა და მათში ფაქტობრივად მცხოვრები შინამეურნეობების სიითი შემადგენლობის განსაზღვრას გულისხმობს.

– მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი საველე სამუშაოები 15 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მას საქსტატის მიერ გადამზადებული პერსონალი განახორციელებს. მონაცემთა შეგროვება თანამედროვე ტექნოლოგიებით მიმდინარეობს, რომლის დროსაც პლანშეტური კომპიუტერები გამოიყენება.

პირველი ეტაპის სამუშაოების დროს შეგროვდება ინფორმაცია ქვეყნის შინამეურნეობებისა და მათში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ თითოეული საცხოვრისის მიხედვით, რაც აუცილებელია მოსახლეობის მომდევნო აღწერის ჩასატარებლად.

2023 წლის ივნისში შინამეურნეობების წინასწარი სიების შედგენა სხვა რეგიონებშიც გაგრძელდება და მიმდინარე წლის ბოლომდე მთელ ქვეყანას მოიცავს. აღნიშნულ სამუშაოებში საქსტატის მიერ გადამზადებული 3 500-მდე ინტერვიუერი იქნება ჩართული.

მოსახლეობის აღწერის ძირითადი მონაცემების შეგროვება 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის პერიოდში იგეგმება, რომლის დროსაც მიიღება დეტალური მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის და მისი შემადგენლობის, ასევე სხვადასხვა სახის დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ, თვითმმართველი ერთეულებისა და დასახლებების მიხედვით.

აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული აქტივობების შესაფასებლად.

აღწერაზე გაწეული დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, 2024 წელს, მოსახლეობის აღწერასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო აღწერაც ჩატარდება. შესაბამისად, დემოგრაფიულ და სოციალურ მონაცემებთან ერთად, შეგროვდება ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ.

მოსახლეობის აღწერები ქვეყანაში 10 წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველოში უკანასკნელი აღწერა 2014 წელს ჩატარდა“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საგურამოში სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა!

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ გურჯულაძე თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილესთან, გენერალური შტაბის უფროს, გენერალ-მაიორ ჯონი ტატუნაშვილთან და უწყების სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად საგურამოში კავშირგაბმულობისა და უბრუნველყოფის ცენტრისა და ერთიანი გვარდიის მე-20 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 202-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის ბაზაზე დასრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო, – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, სამხედრო ბაზაზე ლაზარეთს, სასადილოსა და გამშვებ პუნქტს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, ასევე დასრულებულია ყაზარმის რეაბილიტაციაც, სადაც შეიცვალა სახურავი, მოწესრიგდა სველი წერტილები და შენობა ახალი ინვენტარით აღიჭურვა.

მათივე ინფორმაციით, ტერიტორიაზე ასევე, მოეწყო სპორტული დარბაზი. დაღუპული მებრძოლების პატივსაცემად კი, სამხედრო ნაწილში გმირთა მემორიალი დაიდგა. ქართველი სამხედროებისთვის ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით დისლოცირებული სამხედრო ქვედანაყოფების სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

გიორგი კალანდარიშვილი:
ყველა ამომრჩევლამდე მივიტანთ ინფორმაციას!

მინდა, დავაანონსო ძალიან მასშტაბური საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, – ამის შესახებ ცესკოს თავმჯდომარემ, გიორგი კალანდარიშვილმა საქართველოს პირველი არხის გადაცემაში განაცხადა.

„ამ მასშტაბური საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში ჩვენ გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას იმისთვის, რომ დარჩენილ თითქმის წელიწად-ნახევარში ყველა ამომრჩევლამდე მივიტანოთ სიახლეების, მათი უფლებების და პროცედურების შესახებ ინფორმაცია. ჩვენ გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რომ ცნობიერება მაქსიმალურად გავზარდოთ ჩართულ მხარეებში, რათა ისინი აღჭურვილი იყვნენ ყველა აუცილებელი ცოდნით, რომელიც მათ სადამკვირვებლო თუ სხვადასხვა მისიაში გამოადგებათ.

ამასთანავე, ჩვენი მიზანია, გავზარდოთ პოტენციური რესურსი იმ ადამიანების, რომლებიც შემდგომ, კენჭისყრის დღეს მოემსახურებიან როგორც არჩევნების დღის ადმინისტრირებას, ასევე წინასაარჩევნო პერიოდში ყველა პროცესის ზედმიწევნით აღსრულებას“.

მისი თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციას ამ მიზნით ექნება საჯარო შეხვედრები, ტექნოლოგიების საჯარო დემონსტრაციები, საჯარო პილოტირება და ცესკო ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოხდეს ინფორმაციის დისტრიბუცია.

ამერიკის ცხელში 81 წლის ტერორისტი გარდაიცვალა

ჩრდილოეთ კაროლინის ფედერალურ ციხეში ტერორისტი თეოდორ კაჩინსკი, მეტსახელად „უნაბომბერი“ გარდაიცვალა. ის 81 წლის იყო.

კაჩინსკი აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ძებნილი იყო. 1978 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში მან ფოსტით 19 ბომბი გააგზავნა, ძირითადად უნივერსიტეტებსა და ავიაკომპანიებში. გზავნილების აფეთქების გამო, 3 ადამიანი დაიღუპა, 23 კი დაშავდა.

1995 წელს კაჩინსკიმ New York Times-ს წერილი გაუგზავნა და პირობა დადო, რომ ტერორისტულ საქმიანობას შეწყვეტდა, თუ ჟურნალისტები მის მანიფესტს „ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი“ გამოაქვეყნებდნენ. ტერორისტი 1996 წელს მონტანის შტატში, თავის ქოხში დააკავეს. მას სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სოლომონ ბაგრატიონი ტიტანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: სოლომონ ბაგრატიონი ტიტანიძე (პ/ნ 01025013579), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გარდაბანი, ს. ნორიო, გრუზულა ტბის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 81.09.14.456 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16180.29 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 12 ივნისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 26 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP89836923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 898369

6. **მოვალე:** სოლომონ ბაგრატიონი ტიტანიძე (პ/ნ 01025013579), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14;

ნარგიზა ბაგრატიონი (პ/ნ 39001009212), თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №4, ბინა 14 და თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14;

შპს „ლია თეა დათო ფოუნდეიშენი ინკ“ (ს/ნ 405060598), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14;

შპს „ჯორჯიან ჩერიტი ფონდ“ (ს/ნ 405211248), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №4, ბინა 14

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP89836923; ლოტის ნომერი: 898369).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 26 ივნისის 12:00 საათამდე.

ლეგენდარული ბრუნო „დინამო არენაზე“

პირველ ოქტომბერს საქართველო, Starring Georgia-ს ფარგლებში, ბრუნო მარსს უმასპინძლებს. მსოფლიო ვარსკვლავი მსმენელის წინაშე „დინამო არენაზე“ წარდგება.

15 გრემის ჯილდოს, ოთხი Brit Awards-ის, გინესის ოთხი რეკორდისა და უამრავი მუსიკალური პრიზის მფლობელი ბრუნო მარსი თანამედროვე შემოქმედებითი ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გავლენიან არტისტად მიიჩნევა.

ამერიკელი მუსიკოსის, მომღერლისა და მულტინსტრუმენტალისტის სადებიუტო ალბომი Doo-Wops & Hooligans მაშინვე ნამდვილ სენსაციად, ბრუნო მარსი კი გლობალურ სუპერვარსკვლავად იქცა, რაც მის მომდევნო ტურნეებზეც დადასტურდა. სტუდიური მუშაობის პარალელურად, ნათელი გახდა, რომ ბრუნო მარსი ახალი თაობის ფავორიტ „ლაივ“ შემსრულებლად იქცა, რომელსაც საკონცერტო და საფესტივალო სივრცეებში ახლებური ენერგიის აკუმულირება შეეძლო. შესაბამისად, მოულოდნელი არ ყოფილა გრემის დაჯილდოებაზე შემდეგი ტრიუმფიც.

ბრუნო მარსის ვარსკვლავური სტატუსი კიდევ ერთხელ დამტკიცდა მომდევნო ალბომებში, სადაც, R&B და ჰიპ-ჰოპის პარალელურად, ბრუნო მარსი საცეკვაო მუსიკის ტენდენციებსაც არ ივიწყებდა.

ქართველ მსმენელს მისი მოსმენის საშუალება პირველად პირველ ოქტომბერს, Starring Georgia-ს ფარგლებში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეეძლება.

კონცერტზე დასასწრები ბილეთები ხელმისაწვდომი 20 ივნისს იქნება.

ანდერძად - საკუთარი ტყავი და გული

ცხოველთა დამცველი ამერიკული ორგანიზაციის PETA-ს ხელმძღვანელმა ინგრიდ ნიუკირკმა თავისი ანდერძი განაახლა, რომელშიც გამოთქვამს სურვილს, სიკვდილის შემდეგ მისი კანი Hermis-ის ჩანთების წარმოებას მოხმარდეს.

ამ ნაგიჯით 73 წლის აქტივისტი საზოგადოების ყურადღების მიქცევას ცდილობს იმ ფაქტისკენ, რომ არსებობს სპეციალური ფერმები, სადაც ფრანგული ბრენდის ჩანთების დასამზადებლად ცხოველებს ამრავლებენ და ხოცავენ. ასევე, ანდერძის მიხედვით, ნიუკირკის გულის ნაწილები უნდა დაიმარხოს „ფორმულა 1“-ის ტრასების ქვეშ გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. ასე PETA-ს ხელმძღვანელი ხაზს უსვამს იმ ზიანს, რომელსაც ავტომობილების გამონაბოლქვი და საბურავები გარემოს აყენებენ.

ქალის გულის კიდევ ერთი ნაწილი კი ილონ მასკს უნდა გადაეცეს. PETA-ში აცხადებენ, რომ მასკის კომპანიამ უამრავი მაიმუნი, ღორი, ვირთხა და ცხვარი დახოცა ტვინში ჩიპის ჩანერგვის ექსპერიმენტების დროს. ანდერძის პირველი ვერსია ნიუკირკმა 2003 წელს დაწერა, თუმცა 20 წლის შემდეგ მასში PETA-სთვის აქტუალური თემების დამატება გადაწყვიტა.

ჯუნგლებში 40 დღე გაძლეს

კოლუმბიის ჯუნგლებში იპოვეს 4 ცოცხალი ბავშვი, რომლებსაც 40 დღის განმავლობაში ეძებდნენ. როგორც ჟურნალისტებს კოლუმბიის პრეზიდენტმა გუსტავო პეტრომ განუცხადა, ბავშვებს მაისის დასაწყისიდან ეძებდნენ. ისინი თვითმფრინავში იმყოფებოდნენ, რომელმაც ტყეში კატასტროფა განიცადა.

ბავშვები 1, 4, 9 და 13 წლის იყვნენ. ისინი უიტოტოს ტომს ეკუთვნოდნენ და იცოდნენ ტროპიკულ ტყეში გადარჩენის წესები. თვითმფრინავმა კოლუმბიის ჯუნგლებში კატასტროფა 1 მაისს განიცადა. ყველა უფროსი მგზავრი – პილოტი და ბავშვების მშობლები დაიღუპნენ. მაშინ ნამსხვრევების დათვალიერებისას მაშველებმა ბავშვები ვერ იპოვეს.

ესტონეთმა რუსეთის პატრიარქს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა

ესტონეთის ხელისუფლებამ 58 პირს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა, მათ შორის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ლიდერ კირილს.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, სიაში შემავალ ყველა პირს აეკრძალა ესტონეთში შესვლა, რადგან ისინი მონაწილეობდნენ ან „წვლილი შეიტანეს“ ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში.

„პატრიარქი კირილი არის პუტინის იდეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროპაგანდისტი და გამავრცელებელი. დრო იყო ის შავ სიაში შესულიყო. მან გაამართლა რუსეთის შეჭრა უკრაინაში და დაიცვა პუტინის პოზიციები“, – აღნიშნა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მან დასძინა, რომ ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთის სისასტიკეს უკრაინაში, ასეთებს ვერ მიესალმებიან ესტონეთში.

ყალბი მილიარდი დოლარი აფრიკელებისთვის

მილიარდი ყალბი ამერიკული დოლარის ფლობის ფაქტზე სტამბოლში რამდენიმე ადამიანი დაიკავეს. გამოძიების ცნობით, ისინი აღნიშნული ფულის აფრიკულ ქვეყნებში გაგზავნას გეგმავდნენ.

ოპერაციის ფარგლებში დაკავებულია თურქეთის – ერთი, შვედეთის – სამი, დიდი ბრიტანეთის – ერთი და განას ერთი მოქალაქე. სამართალდამცავებმა ჩხრეკა რამდენიმე მისამართზე ჩაატარეს და სეიფებიდან 100-დოლარიანი ყალბი კუპიურები ამოიღეს.

ყველაზე გრძელი ენის მქონე ძაღლი

ლაგრადორისა და გერმანული ნაგაზის მეტისი ზოი მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა, როგორც ყველაზე გრძელი ენის მქონე ძაღლი. ზოის ენის სიგრძე 12.7 სანტიმეტრია. ძაღლი აშშ-ში, ლუიზიანაში ცხოვრობს. მისი პატრონები სეიდი და დრიუ უილიამსები ამბობენ, რომ ზოი მათთან 6 კვირის ასაკში მოხვდა და ენა ყოველთვის გრძელი ჰქონდა. მათივე თქმით, 3 წლის ზოი მოსიყვარულე და მხიარული ძაღლია.

აქამდე რეკორდსმენი ამ კატეგორიაში ინგლისური სეტერი ბისმი იყო, რომლის ენის სიგრძეც 9.49 სანტიმეტრს შეადგენდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალისტიკის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6069; ევრო - 2.8053;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2717;
100 რუბლი - 3.1547; თურქული ლირა - 0.1217;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5335;
1000 სომხური დრამი - 6.7440

ამინდი 12 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge